







სიხლი გაიღო მძღოლმა ელგუჭა გოგოლაშვილმა.

თელაველთა ცხელი კერძი

## ქართული ხასიათი







პროლეტარებო უაღლა ჰვეუნის, შეეძინათ  
საქართველოს  
ბიზნისთვის

# დროშა

№ 2 (626), თებერვალი, 1989

ქურონალი გამოდის 1928 წლიდან

უძველესი საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიტერატურ-  
სამხატვრო ჟურნალი

## ნოტიუნი:

ოთარ ჰინჭლაძე. საქართველომ ლა-  
გაზო.

ლალი მიგრაციული. სითგო გულისა.  
იცით, როგორი იყო ვარლამ თოფუ-  
რია?.. (საშუბარი)

სარგის ცაიშვილი. კოეტიური იად-  
ბარი.

შალვა მარკოზაშვილი. აკაკიმ და-  
ლოცა.

რემ დავიძოვი. ძიება და აღმოჩენა.  
ნუშუ მადრაძე. დამიხსოვრეთ...

ილია ჭავჭავაძე. დავით აღმაშენე-  
ბელი.

იოსებ ჭუმბურიძე. მძივა და ზირვე-  
ული?..

ვარლამ გოგუაძე. საფოტოლოს გე-  
დი — მისი-დარდი და საჭრუნავი.

ნანა ლეონიძე. მურიე და საქართველო.

ლუბა ბიბილაიშვილი. ქართული  
სკოლა „ოვსტა“ მკვებანაში.

მიხაილ ბულბაკოვი. ჩინური ამბავი.  
არნოლდ ბეგეჯოვი. თეთრი მღვმე-  
რება.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

## მთავარი რედაქტორი

ოთარ ჰინჭლაძე

## სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ხახტაძე (პ/მგ. მღვიანო), ოთარ  
ბერიშვილი, ვასილ გვებაძე, ნათელა ვიორ-  
გოიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სარგო ღურ-  
შიძე, ვახტანგ უსუანჯია, ჯემალ მხარ-  
იშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),  
თენგიზ სახსონაძე.



სიცოცხლე იმარჯვებს



ლტოლვილთა დაბინავება

## ხელმოწერა საყურადღებოდ

მკითხველებს შევახსენებთ, რომ მოსალოდნელია  
სატელე ვაჭრობით ჟურნალ „დროშის“ რეკლამების  
შეზღუდვა.

1989 წლის „დროშაზე“ ხელმოწერა გრძელდება. ხელ-  
მოწერა მიიღება „სოიუზკაჩატის“ ქველა განყოფილე-  
ბაში, აგრეთვე კრების საზოგადოებრივ გამავრცელებ-  
ლებთან სწავლისა ან სამუშაო აღბილის მიხედვით.

ხელმოწერის ღირებულება: ერთი წლით — 4 მან.  
20 კაპ., ნახევარი წლით — 2 მან. 10 კაპ., სამი თვით —  
1 მან. 5 კაპ.



# საქართველო ლამაზო

სხვა საქართველო სად არის?

არ არის.

არსად არ არის.

და არც შეიძლება იყოს.

სხვაგან არც რუსეთია, არც ესტონეთი, სომხეთი ან უკრაინა, არც ინგლისი, საფრანგეთი და არც იტალია. ყველა თავთავის ადგილზეა. ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ამიტომ არც სხვა საქართველო მოიძებნება სადმე.

მარტოოდენ იქ, სადაც უხსოვარი დროიდან ყოფილა, არის და მუდამ იქნება, რამეთუ იგი უკვდავი და მარადიულია.

საქართველო ლამაზო!

ილია:

— ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არ დაუზოგვია რა, არ დაუქალია რა, თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტეღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებლობით არის და არა კაცი-სათი, ის ყველაფერი უკვე მოგვამადა ღმერთმა. ხელთ გვივირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუზბდება სული, გული ელევა, ხორცი აღდება...

ეს ამ ასიოდე წლის წინ ითქვა და მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩაელინა დრომ და განვილინა მანძილმა მინც დაგვიტოვა საფიქრალიც და სადარდებელიც.

რატომ?

იმიტომ რომ, ლამაზია საქართველო და ყველანაირ სილამაზეს რიგიანი მოვლა-პატრონობა სჭირდება.

საქმით სჭირდება, რეალურად, თითოეული ჩვენთაგანის ყოველდღიური ცხოვრებით და არა ზმირად მომეტებული, უთავბოლო, თანაც გაუთავებელი და უკვე მომაბეზრებელი სიტყვების კორიანტელით. ამ საქმეში ჩვენ ისე დაავსებადით, იმდენ დროსა და ენერჯიას ვხარჯავთ ამაზე, ისე ვართ ამით გაატყვეული, რომ ავგრ თითქმის შეიდი ათეული წელი გადის და ხან საკუთარი ბედისა და ერთმანეთის ქება-დიდებათ ვირთობთ თავს, ხან კი ასეთივე მონღოლებით ვლანძღავთ და ვაძაგებთ ისევ ერთმანეთს, უბედობასაც ვუჩივით და ჭერ რიგიანად ვერც კი ვაგვიანებთ რა ვიღონოთ ან მოვიმოქმედოთ ჩვენი ამჟამინდელი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის, მისი განახლებისა და გაჯანსაღებისათვის.

ვითომ ვიცით კიდეც და, მე მაინც მგონია, რომ მაინცდამაინც არც კი ვიცით.

ერს სიბერე არ შეიძლება შემოეპაროს.

თაბათა კანონზომიერი მონაცვლეობა, ჯანსაღი მემკვიდრეობა, ეროვნული თვითშეგნების განუწყვეტელი ზრდა არის მარადიული სიჭაბუკის უშრეტო წყარო, მამოძრავებელი ძალა, მისი უკვდავების წამალი. ხოლო ეროვნული თვითშეგნების ინტენსიურ ცხოვრებაში გამოვლენა ეროვნულსავე თვითნაღიზს, ობიექტურ თვითშეგნებას და მიზანდასახულ თვითაღზრდას საჭიროებს.

ამაზე გვმართებს დაფიქრება, ამის განსჯა და გათვალისწინება.

ილია:

— საიღამ დაგვიჩადა ეს საუბედურო თვისება? რამ გადაჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული, საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც „ჩემობის“ ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დაეწყებინა მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხოვდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჭერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს „მეს“ უკან დააყენებდა.

— ამით უფროა საკვირველი, საიღამ შემოგვეპარა, საიღამ შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა „მე“-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენი სადღეგრძელოდ, ჩვენი საბედნიეროდ? რამ წავგახდინა ესე? ეგ სენი ახალი სენია და საიღამ არის მოსუ-

ლი, ვისგან დანერგოლია — ეგ ადვილი მისახდომია: იმისგან, ვისაც უძლური „მე“ უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალ-გულოვანი „ჩვენ“.

— ასეა თუ არა, ჩვენ კი, როგორც მემატთანე ჩვენი შინაურის ცხოვრებისა, შევნიშნავთ, რომ დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უტრის, სწულავს, ათახსირებს, გზა-კვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითოეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო.

ასეა ეს.

დღესაც ასეა.

მაგრამ, აღარ უნდა იყოს ასე.

ვიღონოთ უნდა რაიმე, რომ ასე აღარ დარჩეს მომავალში.

უახლოეს მომავალში.

ჩვენს შორის დღესაც ბევრია ისეთი „მე“, რომელმაც ჩვენსავე ხარჯზე ზღაპრულად მოაწყო თავისი ცხოვრება და აღარც კი აინტერესებს, თუ როგორა ვართ „ჩვენ“.

ჩვენ კი ზოგიერთ გარემოებათა გამო ვერა ვართ მაინცდამაინც მთლად დაღვნილი.

თუნდაც იმიტომ, რომ კარგად ვერც იმაში გავრკვევულვართ, თუ რა გვჭირს და, რაც მთავარია, როგორ დავაღწიოთ თავი ამ გაჭირვებას.

ეს უთუოდ იმის ბრალიცაა, რომ ყველაფერი, რაც აუცილებელია ვიცოდეთ და ვიცოდეთ უნდა კიდევ — არ ვიცით.

არ ვიცით, მაგალითად, რამდენი ვიყავით ამ ჩვენს კურთხეულ მიწა-წყალზე და რამდენი ვართ ახლა, ან რატომ ვართ ასე ცოტა. არც ის, თუ რაში და რისთვის გვჭირდება ამდენი დიპლომათი სასიძო, რომელიც მერე სპეციალობის მიხედვით აღარ მუშაობს. არც ის, თუ რატომ გაურბის ჩვენი ახალგაზრდობა დროულად დაოჯახებას და რას მივაწეროთ განქორწინების მზარდი რიცხვი, უშვილობის დამაფიქრებელი მაჩვენებელი და კიდევ ბევრი რამ სხვა.

ისეთი რამ, რაც „ჩვენ“ ყველას გვგებდა.

ეს ის ციფრები, მონაცემები და მაჩვენებლებია, რომლებიც სტატისტიკის სფეროს განეკუთვნება და მათი ცოდნა ჩვენ, ესე იგი ფართო საზოგადოებრიობას ძალზე გვესაჭიროება. იმიტომ რომ, სტატისტიკა მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს მასობრივ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხობრივ მხარეს მათ თვისებრივ მხარესთან კავშირში. მე სწორედ ამ თვისებრივმა კავშირმა დამაინტერესა და ვიფიქრე, რომ ასეთი კავშირი მარტოოდენ ჩემთვის კი არა, ჩვენითვისაც უთუოდ საინტერესო იქნებოდა.

მამასაღამე, ისევე მე და ჩვენ, ისევე ჩემი და ჩვენი.


პირველი, რაც თვალში მომხვდა და რამაც ძალზე შემაწუხა, ეს საქართველოს მოსახლეობაში ქალაქის ბინადართა ზვედრითი წილის სისტემატური ზრდაა. გასული საუკუნის მიწურულში ქალაქის მოსახლეობის ზვედრითი წილი ჩვენთან 20 პროცენტს არ აღემატებოდა და მაინცდამაინც არც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში გაზრდილა — 1926 წელს ამ მაჩვენებელმა 22 პროცენტს მიაღწია. ამ მხრივ ძალზე მტკივნეულია მომდევნო ოცდახუთწლიანი პერიოდი, როცა 1950 წლისათვის ქალაქის მოსახლეობამ 36 პროცენტს მიაღწია. ეს პროცენტი მომდევნო სამი ათეული წლის მანძილზე კიდევ უფრო ინტენსიურად ვითარდება და უკვე 1980 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა 52 პროცენტს აღწევს, ხოლო 1987 წელს 55 პროცენტია და მატების ტენდენციაც აშკარად გამოიკვეთა. ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ სოფელი იცლება და ქვეყანას მარჩენალი გლეხი კაცი აკლდება.

მძიმე სურათია.

მე კარგად მესმის, რომ საქართველო ვერ ასცდა და სამწუხაროდ ვერც ასცდებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციაზე აღებულ ძალისმიერ კურსს, რამაც დამანგრეველი გავლენა მოახდინა ეროვნული სახალხო მეურნეობის ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე, მაგრამ ზოგიერთი რამ ჩვენი საკუთარი ნაცოდვილარიცაა. ამას ვერსად გავეცქევით, მაგრამ ის კი მაინც მინდა ვთქვა, რომ სოფლად დატრიალებული ცოდვა მალალი და დაბალი თანამდებობის მქონე იმ პირთა სინდისზე იყო, ვინც მაშინ ეროვნული ინტერესები თავის კარიერისტულ მიზნებს ანაცვალა.

თქმა არ უნდა, ძნელი და სახიფათოც კი იყო ავადმოსაგონარ წლებში ეროვნულობის სადარაჯოზე დგომა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ცვიროდით — „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციასო“, აჯობებდა შეძლებისდაგვარად მაინც საკუთარი სახლ-კარისათვის მივეხებოდა.





ეპ, რაც იყო — იყო.

ახლა მაინც მოვიხმობთ ჭკუა, გონება და შევეცადოთ, რათა იმ ძნელ-ბედობის დროს მიღებული მწარე გამოცდილების გათვალისწინებით წარსულიდან საჭირო დასკვნები გავაკეთოთ.

მე, მაგალითად, ფრიად საინტერესოდ მეჩვენა 1913-1926 წლების შუალედში ჩვენთან ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის 26-დან 22 პროცენტამდე შემცირება მაშინ, როცა მეზობელ რესპუბლიკებში ეს მაჩვენებელი საგრძობლად გაიზარდა, ხოლო რუსეთსა და სსრ კავშირში, ერთ დონეზე დარჩა.

ჩემის აზრით, ღირს გავერკვეთ ამის მიზეზებში.

მაინც, რამ განაპირობა ჩვენი დროის ამ მონაკვეთში სოფლის მოსახლეობის ზრდა?

იქნებ ღირდეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის იზრუნონ ჩვენმა მეცნიერებმა?

და იზრუნოს მართოდ ჩვენი შიგა ისტორიის ცოდნისათვის კი არა. იქნებ სამომავლოდაც გამოგვადგეს ამის ცოდნა. სოფელთან მართოდ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უაღრესად სასიცოცხლო პრობლემა როდია დაკავშირებული, არამედ ერის გამრავლებაც და მისი სიჭანსაღმაც, რასაც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ახალგაზრდობის ხვედრითი წილის ზრდა. სტატისტიკა გვიდასტურებს, რომ შობადობის დაბალ დონეს მოსახლეობის დაბერების ტენდენცია განაპირობებს. მაგალითად, 60 წელს გადაცილებული მოსახლეობა 1959 წელს მთელი მოსახლეობის 11, ხოლო 1987 წელს კი უკვე 14 პროცენტს შეადგენდა. სტატისტიკა იმასაც გვიდასტურებს, რომ ბუნებრივი მატება უმთავრესად სოფლის მოსახლეობის ზრდას უკავშირდება, კერძოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ხარჯზე. სოფელი კვებავს ქვეყანას, ასმევს და აჭმევს მის ბინადართ და უმთავრესად ისევ სოფელი ამრავლებს ერს. ამიტომაც მოსახლეობის დემოპულაციის პრობლემა საგანგაშო ისეთ ტრადიციულ რაიონებში, როგორცაა ამბროლაური, ონი, ყაზბეგი, ცაგერი და... სიღნაღი კი. იზრდება რესპუბლიკის იმ რაიონების რიცხვიც, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება არ აღემატება ხუთ პრომილეს და აქაც დემოპულაციის მოსალოდნელი. მათ რიცხვშია ქ. წყალტუბო, აგრეთვე აბაშის, ვანის, გურჯაანის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მიაკოესის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, თერჯოლის, წულუკიძის და ჩოხატაურის რაიონები.

სტატისტიკურ მასალაში მრავალი პრობლემა იმალება. ძველიც და ახალიც. ისეთიც, რომელიც მანამდე არ მდგარა ან იშვიათ გამოჩანის წარმოადგენდა. მე მეჩვენება, რომ ასეთია, მაგალითად, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მართლმადიდებელთა პრობლემა, რომელიც სოციალურ მნიშვნელობას ღებულობს. 1979 წლის აღწერის მდგომარეობით საქართველოში სულ 174.085 მართლმადიდებელი აღიარებდა და მათ შორის 129.948 ქალი, დანარჩენი 44.137 კი მამაკაცია, აქედან, მართლმადიდებელთა რაოდენობამ ქალაქად 93.938 შეადგინა, ხოლო სოფლად — 80.247.

მართლმადიდებელი კაცის ჭამაშიც ცოდნა — ასე იტყვიან ძველები.

ახლა, რა ვთქვათ და რა ვფიქროთ „ყველასაგან მიტუვებულ მართლმადიდებლებზე“?

იმაზეც, თუ ვინ დაეპატრონება ხვალ მათ კარ-მიდამოს?

ბევრ საკითხავს აღძრავს ერთი შეხედვით უბრალო ცხრილიც კი.

მაგალითად ასეთს. რატომაც, რომ ბოლო წლებში იკლო ქორწინებათა რიცხვი და 1980 წლის შემდეგ, როცა 50.547 ახალგაზრდა დაქორწინდა, მათი რიცხვი 1987 წლისათვის 39.157-მდე შემცირდა, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობა თითქმის იგივე — 6.765 დარჩა? ოდნავ შემცირდა ჩვენში ხელოვნური აბორტების რაოდენობაც, მაგრამ 70 ათასი მაინც დიდია და პირველად მშობიარე ახალგაზრდებს მომავალი დედობის დიდ საშიშროებას უქმნის.

საქართველო ლამაზო!

არა გყავს შენ შეილი დასაკარგავი, მაგრამ ერის მომავალ შვილებს ზოგჯერ დაბადებასაც არ ვაძლევ, ზოგი კი ერთ წლამდე ასაკში გვეღუპება. ყოველ ათას დაბადებულ ბავშვზე საქართველოში 1987 წელს საშუალოდ 25 ერთი წლის ასაკამდე ბავშვი გარდაიცვალა: ზუგდიდში — 45, ლაგოდეხში — 37, ქუთაისში — 30, ამდენივე თბილისში და ა. შ.

მართალი გითხრათ, პირველად ჩაიხედე ამ ხასიათის სტატისტიკურ მასალებში და თავი დამნაშავედ ვიგრძენი. იმიტომ რომ, ბევრი რამ არ მცოდნია, ზოგიერთი სხვაგვარად წარმომედგინა და შემეშინდა კიდევ იმისი, რომ სრული ინფორმაციის უქონლობამ შესაძლოა მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ისიც კი ვიფიქრე, რომ შესაძლოა ამის გამოც რჩება ხოლმე ზოგიერთი პრობლემა გადაუჭრელი, ხოლო გაუცნობიერებელი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა კი არც თუ ისე ძნელი საქმეა.

ამით ზოგჯერ სარგებლობენ ოფიციალური და არაოფიციალური პირებიც.

მე და ჩვენ კი მათ ვუსმენთ და მათი გვჯერა.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს!

რა თქმა უნდა, გაუმარჯოს!

მაგრამ, თავისუფალს, უწინარეს ყოვლისა და ამჯერად, ყოველგვარი სიმანხინჯისაგან, რომელმაც ჩვენთან ფეხი მოიკიდა.

ისეთი სიმანხინჯისაგან თავისუფალს, რომელსაც მართოდ „ჩვენი“ ვერც ადევს და არა „ჩვენი“ იმიტომ რომ, სწორედ „ჩვენი“ ედინება ზნეობრივი მანკიერების მღვრე ნაკადი, რომელშიც ზოგიერთი ჩვენი თაგანი ოქროს თევზსაც ოსტატურად იჭერს.

ზოგი დასმენით.

ზოგი მიტაცებითა და მითვისებით.

ზოგიც მასზე უფრო სუსტზე ძალადობით.

საქართველო ლამაზო, არ გეკადრება ეს შენ.

დავძლიოთ ეგოიზმი, გულგრილობა, თანამემამულეთა გაუტანლობა.

დავძლიოთ ეროვნული დაქსაქსულობა და ვიღვწოთ მთელი ჩვენი ძალების კონსოლიდაციისათვის.

დავძლიოთ „ჩემი“ და ვიცხოვროთ „ჩვენი“ საერთო ეროვნული ინტერესებისათვის.

და ჩვენივე მომაკვდინებელი მოძღვრება თითოეულისა ცალ-ცალკე: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნება.

მართლაც, საიდან გავვიჩნდა ეს მანკიერი თვისებები.

მე მართლაც აღარ ვიქნები, მაგრამ იქნება ჩემი შვილი, ჩემი შვილი-შვილი, ჩემი და ჩვენი მოდგმა, იქნება ჩემი და ჩვენი ერი, ჩემი და ჩვენი სამშობლო. ყოველივე ეს მარადიულია, ისევე როგორც ერის სიჭაბუკე და მისი ახალგაზრდობა.

ახლა ჩვენში, და არა მარტო აქ, ფეხს იკიდებს, ძლიერდება, თავის სათქმელს ამბობს ახალგაზრდული მოძრაობა, რომელსაც, ცხადია, თანაგრძობავე სჭირდება და მხარდაჭერაც. მაგრამ, ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ ყოველად გაუმართლებელია არაფორმალურ გაერთიანებათა ზოგიერთი მესვეურის არაქანსალი წამქეზებულ მოქმედება, რაც ახალგაზრდობის ეროვნულ გრძობებზე სახიფათო თამაშის ხასიათს ღებულობს.

სახიფათოს იმიტომაც, რომ მე არ მინდა და კატეგორიულად არ მინდა წავიკითხო ქართულ ვაზეთში იმდაგვარი რამ, რაც ზაქოელ მოქალაქეებს გამოუცხადა იქაურმა სამხედრო კომენდანტმა.

გენერალ-პოლკოვნიკი მ. ტიაგუნოვი:

— როგორც ქალაქ ზაქოს საგანგებო რაიონის სამხედრო კომენდანტი, უფლებამოსილი სკვპ ცენტრალური კომიტეტის მიერ, განმარტავ რომ, საგანგებო მდგომარეობისა და კომენდანტის საათის შემოღების გამო აკრძალულია მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარება. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე მიტინგების ჩატარების ხელმძღვანელებისა და სხვა ყველასაგან მოვითხოვ მორჩილებას საბჭოთა კანონებისადმი. კანონით დადგენილი წესიდან ყოველგვარი გადახვევა ალკვეთილი იქნება ძალით. საგანგებო რაიონის ჯარებს არა აქვთ სხვა ამოცანა, ვიდრე ქალაქის საზღვრებში სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის პატივისა და ღირსების დაცვა.

აი, ასე.

და მე არ მინდა, თბილისში ასეთი დოკუმენტი შეიქმნას.

საბჭოთა საქართველო დღეს 67 წლისაა. ეს ჩვენი ისტორიული ათასწლეულების სრულიად უმნიშვნელო ასაკია. იმდენად უმნიშვნელო, რომ მე-მატიანე მას ვერც კი გამოყოფდა, თუ არა თვისებრივად ის ახალი ხანა, რომელიც თავის წელთაღრიცხვას 1921 წლის 25 თებერვლიდან ითვლის.

ღრმ თავისი ქნა.

ისიც ისეთმა, რომელმაც საქართველო სოციალისტური მშენებლობის გზით წაიყვანა.

ახლა ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული, წინააღმდეგობრივი და ძნელად დასაძლევია პროცესი მიმდინარეობს.

რა ვაშენებ და ავაშენებ?

და რატომ დასჭირდა გადაკეთება-გარდაქმნა, განახლება, გაჭანსაღება სისხლით, ოფლითა და დავით მოპოვებულს, აშენებულსა და აღიარებულს. მაგრამ, რადგანაც მაინც დასჭირდა, ეს გზა საქართველომ ახლა მაინც უშეცდომოდ უნდა განვლოს.

ყველამ უშეცდომოდ უნდა განვლოთ: მეც, შენც, მამებმაც და შვილებმაც.

ილია:

— ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეცე ძალ-ღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენი ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხდის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან წაღილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მივლანზე და თავანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამ ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობის მოსახსენებლად. ეს ნატვრა, ეს ვედრება მით უფრო საჭიროა დღეს, რომ ეს ახალი წელიწადი დიდის იმედებით დაგვებადა და ბრწყინვალე იმედებითაც. ამ დიდს იმედებს დიდი მხნეობაც უნდა, დიდი ჭკუისა და გულის დადება, დიდი წინდახედული გარჯა და საქმიანობა.

სამშობლოს უნდა და სჭირდება ეს.

დიდება, შენი დიდება.

საქართველო ლამაზო.



...  
 მათი ამბავი შემთხვევით მოვისინანე  
 ცვატივით.  
 — სიტყვაფუნჯი კაციო, — მითხრის  
 თელღ პაპას მეზობლებმა და მათთან შეხ-  
 ვდრა არ მიჩრჩის.  
 რამდენიმე დღის შორიდან ვაცვირებ-  
 თლი მეორესს, გამივიღოდა დღაადრიან  
 ქრანში ჩანჩქელვდა ზის პაპარა სკაშხუ  
 და ვამეღულ-ვამეღულს ფუხის ზმას  
 მიყურადებდნენ აქდა გვიანობამდე გარ-  
 ნებულყო.  
 — ბოლო დროს ძალიან მოტყდა, მზე-  
 დეკლამა დაჯარა, მზერბშიც მოიხარა,  
 თითქოს დაპატარავდა, თითქოს დამწუნდა,  
 — მიამბობენ სოფლის უხუცეს ადამიან-  
 ხე.  
 უნეტარ მოხუცთან შეხვედრა რამდენ-  
 ადგილ მატრობდა, იმდენად მაყვლენდა.

...  
 — ეინ ბრძანდებით და ჩემგან რა გე-  
 ბავთ, ქალბატონო? — მითხრა უხუცად  
 და სახე მომხარადა.  
 — მანოს ამბავი მინატერესებს, — წა-  
 მომეცა დახმეულს სულწრავად.  
 როგორღ მანოს ამბავი? — მკითხა  
 შემოთრეულმა მამამ და მიხვედი, პა-  
 ვლი წარბებზეა შეყვნილი უხუცე მეზობი.  
 — ხარება და გიცოცხე! — მარტობელა  
 ქალის როლი რომ თამაშობს, — დავუკო-  
 ნებრეტე პასუხი.  
 — მაინც რად დაინტერესებულა მან-  
 თო ქალიო, სილაშაზემ მოგხიბლა თუ ტა-  
 ნადობამ?

— ლევანს და მის ურთიერთობას  
 ამბავი მინატერესებს.  
 — ლევანს? — ვებრულად მოცახტავე  
 ხელი ფოთილიად შეშეხი ხეზე, მოხუ-  
 ცი თითქოს ბოღნიშობდა უხეშობისთვის.  
 — მამ მანოს ამბავი...  
 თელღ პაპა წამოვიდა, ვახი მეორე მხა-  
 რის გადივდა და სკოლის კიშკარი შეე-  
 რდა. ვახზე დავიდნობილს უქირდა სიარ-  
 ულიო უძნელ მივიყვანე უხუცად.  
 სკოლის ვახში ასულივები ჭადრის ხე  
 იდგა. ჩრდილში ჩამყვანივდი. ორივე  
 ვსულდით. სახე დავაღწვდიანდა თელღ  
 პაპას, ცისფერ თავსულს სისველ გაუჩ-  
 ნდა.

— თელღ პაპა, აღბათ არ უნდა მოვესუ-  
 ლივავი.  
 — ვარდა მოიქციე, რა აზრი აქვს თით-  
 ქმის საკუთრის წინაშელო ამის მუცლის  
 და ველის ტარებას. უნდა ქალბატონო  
 გთხარას, მძივი ვაგვეთი გვიჩინარა.  
 — ტყდუნდი ვარ.  
 — შენდღმა შეიღველია შენო უნ-  
 და მყოლიდა, — თელღ პაპამ ხელი გა-  
 დამიხდა თიხებზე, მერე შეზღობა, თვალბანი,  
 ცხვირი მომისიხა. — იმას არასდელი შე-  
 ვიხებავარ, — მითხრა ნაღვლიანად. — ცხვი-  
 რი შენდღმა სიღრთვანა, ოდენად ამბობ-  
 თლი ქეს კარბინია, — თელღ პაპამ ხელი  
 სკოლის ვახ შეშობახს, — შენთვის  
 უსხავარ დროს მანქან ვაგვარს ეკუთვნინდა.  
 ძალიან მდიდარი იყო მანქან ვაგვარი, მაგ-  
 არამ ძალიან უბედური, ვინაშელო ასულს  
 ჰყავდა და ისიც დარბოდა.  
 ამ აფხვლის შემგინარი ბალი ჰქონდა  
 შაშვის ასულს. მის უკითხავიად შეგი-  
 თს სურვილი ვერ ვაძულებინდა. და დარჯ-  
 ივ საყვად და ვეშეღებო, მაგრამ ისინი და-  
 ნიონ სკამინაბდენენ და დღე მუდურბობას  
 არ ურცევდენენ პატარა ქალბატონს. სახე



# ლითონი ბუფალი

ანგელოზისა ჰქონდა მუდამ დედოფალ-  
 ვით მორათულს.  
 შემოვიპარებოდი დილაუთენია ეკონში,  
 აფხვნივითი ჭადრბრე და მთელი დღე ვე-  
 ლოდი, როდის დასკრბდებოდა ჰერვეულ  
 ქალბატონის მომსახურება, როდის მოეხ-  
 ბილდა მანოს.  
 მანო თავისი ქალბატონის ტიპად არ  
 იყნივდა. ობოლი იყო, უპატრონო და შა-  
 ნიშ ვაგვარი პატრონივდა. მეზობლების  
 თვალში სიკეთეს სჩადივდა, ლეშმა პუხის  
 არ აფუვიდობდა. თუმცა სოფელში მანოს  
 სახის მხოველია ორი კაცივ არ მივედუ-  
 ბოდა. აჭარელი ქალივით პირშეხუტულს  
 დაატარებდა მანქან სასახლეში. მხოლოდ  
 ბაღში ჩაჩვლია დროს აძლევდა უფლებას,  
 მოსასველი მოეხებოდა და მისუფხავიო სახე  
 შროსივინი ეჩვენებინდა.  
 ახლავ მიჭირს მტკიცება, მანქან ვაგვარი  
 თავის უფროდ ქალს კედებდა ცხრატ-  
 ლობივით, თუ მანოს არიდებდა მისეულ-  
 ელ-მომსუქლებს.  
 ჰარისს ქვეშ სარწფველია სკამი იდგა. მა-  
 ნისე ასულს. მის ახლის სიხვედრე ვეჩინა-  
 ბოდი, თუ ისინი ჰუარის ფოთლებში გზას  
 გაიჭყდენდნენ და უნებურად მის დღერე-  
 შილ სახეს იპოვიდნენ.  
 დარჯი იისი დარჯი იყნივდა, ვერ შე-

ვემნივით, ერთ დილით ეკონში გადამტარი  
 შემოპარის და შაშვის მიმჭირებს.  
 პირველად შეხვდა მანქან ვაგვარი. მიხ-  
 ვდა, შენი ხალხიო, არ დასაღვლებოდა  
 და ვაჭყდელით, ისე თქვა, წარბანი შე-  
 ტრიაკვიდა.  
 თავი ვაჯავად მომჩინდა. თუთმეტი  
 იმ წელს მისრულვებოდა. ვამაიაგება  
 ვადვარევიტე, მაგრამ ოთხმა გოლიათმა ხე-  
 ლმა სარდალში ჩამართია. შევხედა და  
 უნებური რუხა ბიჭები არიან. ვადვარე-  
 ვიტე, თავი არ შეგერცხვინა.  
 — თუკრო, — მითხრის დამტერეული  
 ქართალით. ათვარი ვახუზუნა მაგროს  
 მათთანმა, ათვარი აღმომხდა ვაფხვნივულს  
 ტყელით კვიხას და ყვიროლი. დამით კავი  
 ვამოვს, ვხა დამბოლცეს და არ დავე-  
 ვიყო, მომამახეს მხიარულად. სიკეთეს  
 რა დამაჩრებდა. იმ ბიჭების წყალობით  
 მომევიტე რევილციონებოდა წარბი.  
 ზოფლისი დამღებს პატარა ქალბატონი  
 დილაუთ. ამ ვაჭრის ქვეშ დამახმა საზ-  
 ლღარავითი ვისაქცევადა ვამაზებულმა. მა-  
 ნისე ვაგვარმა ასული. მანოს თამ წყავანა ვა-  
 ნენხარამა, მაგროს...  
 ბავიო ვერცხივით მანქან სასახლეს. მან-  
 თის ჩრდილსაც ვე ვერხლდ მოგვარი თვა-  
 ლი. ეკონში ვაგვებულ ნავაზემ. მტყად  
 ფრთხილობდა ვაგვარი. მაინც არ დამბო-  
 ლა მანოს სილაშაზე, თვი ჩემზე ვაგველუმა  
 შევივარა და სახეულდოთ ისორულა.



# ლითონი ბუფალი

...შეძლებით არ ვამორჩნეოდა, მაგრამ  
 ვიზიანი იყო. სახიბო ზობარულ მუჭებზეც  
 ჰყავდა. იმის მოსაშენ ქალს მორაგულ სო-  
 ვლებში იტებდნენ მამულში. თეთროს  
 თუღბი სხეი რამ იღო ვეგულში. ერთ სილა-  
 შიშ შეყვარა მამაბიჭები და მანო მოსტყდა  
 მანქან ვაგვარს. ვერცხივით თითქოს ათი  
 ვიღამ მანოს მსახევი სილაშაზემ ამ სოფელ-  
 ში და არც რბალი ვიკრუნა.  
 არ დავსილდა ბედინებება მანო მზე-  
 თუნახავს. ორიდღი თვის შემდეგ უხუ-  
 ველოდ დავარდა მისი რჩეული. ვაგვარი  
 მანქან ვაგვარი, შრობილდო შეღის დილით  
 ვაგვავენენ, სახე-კარი სხვამ მოსსუვარა.  
 დარჯი მანო, თუ დარჯინი ვიქმილდა იმის  
 მოფას.  
 დილიდა კარდავარ საკიდოდა. იმის წა-  
 მალი იყო, ვისაც უჭირდა იმის ერთდებო-  
 რად, ვისაც უღიხინდა. მოხუცად და სიბე-  
 რეშ დარჯი მოუხატა.  
 — ჩემი კერა რომ მტყიდეს, დარჯივარის  
 ვივარდებოდი, — მითხრა ერთხელ ვხაღ  
 შეხვედრილმა. იმდენად ვამინათა ვულა, სა-  
 ლელო, კარი, ვეკლევიარი შევივავებე. მე  
 თვალში მცვიტებულ-მჭობი, დამაოთხანმა.  
 თუმცა იმ დღეებდა სთითვნივთი ვარი ვამ-  
 კარბიდა.  
 სადავ უღამდებოდა, იქ უნებუნდობდა.  
 უსაქმობას ვერ იტანდა და უსაქმობა

დარბოდა. დავძლურდა, ჩამოხმას, სანე-  
 ვილით დილია.  
 ხოდა, მოვიდა კოლმურენობის თავა-  
 ვგომამედ ლევან თელიშვილი. პირველად  
 გელო აუხუყა მანოს უპატრონობამ ლევანს,  
 მერე გელის ახუყება სიხარულში, ბო-  
 ლის არ დედმევილურ სივარულში ვამ-  
 ეხარდა.  
 მანო ვამოცესხდა. ახალბოსახლებდა  
 ახლებს. პო, შელო, იმ დღოცელომე-  
 ლის სახლი აუშენა. სიბერეში სკევიარი  
 კვირა ადრისა. მანოს აღარაყინ აინტერესე-  
 ვდა ლევანისა და მისი ოჯახის ვარდა.  
 მანოს ვაგვარზემა მოინდომა თურბე ერ-  
 თხელი მეზობლის ონავარბა. — შენი სე-  
 ვისა მანდღებმს დავეკრიათო, — უთქ-  
 ვდა, — მერე, როგორ არის, — შემთი-  
 თებულა მანო. — მამილედ არის, — ობე-  
 მარი ვეღარ ვაგებოხია ბიჭს.  
 — მანის კაცი ვერ მოკრევივარ, — უთქვამს  
 მანოს და დამწუხვებულა.  
 და ვანა მარტუხა მანო, მთელი სოფელი  
 ვამოკრეცხა იმისმა მისულმა. აჭვე ახლ-  
 ლის სახელით მოდინარა მოაქყო. კვირედ  
 ახალ-ახალ ვაგვანებენ ჩეკულებდნენ ვა-  
 ნებოთს.  
 — იმ დღეს ვამამლები ვაჭვირე იყო ჩა-  
 მოსკლი სტუბინად. ვამაზინა შეჩიბარი, შე-  
 ვივარა მეთლი სოფელი. მოთავარი მსხარი  
 ლევანი იყო. მოიყვანეს ჭეღლი ვამარ-

ვებულისათვის. ვიღამ არ სილდა ბილი.  
 ურეში წამილდა თელიშვილი. ვამოვიდა  
 წრეში და ვისცედაკაცი, დამეცხვლითო —  
 თქვა დამბოლით.  
 — ახა, მეგობლის დამკრო, ერკინო, —  
 მოვიდებნე მალით ვამოვივანეს ერთი მსა-  
 ნიოთი. — დამკრო, — არ დამეცხვას. — მე  
 დღავაგვანს ვეწრდებები და არა გოლიათ-  
 ივსი.  
 მწიფელი სოფელი ტყეებში სილდა და  
 მანოს ეკონში გადსავა. თვის მტყინა, არ  
 დავაფუხელსი, ვაგვეშურა კოლმურენობი-  
 მის ახალ თავმდობარეს.  
 ვამოცესხდა მანო. საქმე იშოვა. დი-  
 ლოდან დღავამბამდე იმ ერთ ცხვარს დას-  
 ვეჯდა. ბავშვივით შეგასაროდა, ბავშვივით  
 ეტრტინებოდა.  
 ვაგურმა თელღ პაპა.  
 ვერ ვამელო, რად ეძახდნენ ეგვინანს. მან-  
 თის საუბარის არაფერი ვობდა. დინჯავა,  
 სიტყვების ტყვინით ლაპარაკობდა, თან  
 ცდობობდა. მის მიხედვით ვანესაზღვრე  
 და მხარე ჩემი მხრისათვის ვაგვეშურებინა.  
 მინჯებობდა დავჩერება, რომ ამ ცისფერ  
 თვალში სიხველედ იღა.  
 — იგილით სავსე მოვდა მანო.  
 ...ვაგობამდე ვრგებოდა და სწორად  
 დამესაც ველოვები. მის სასთუმლოთან ჩა-  
 მომჯინას მიკვირდა, რა ძალი მარეგობდა  
 მთელ დამეს თვალმოუხუჯავს, ან რა  
 ვიღამოდა მანქანავადა მის სასთუმლოთან.  
 თუმცა ვაგვანობილი, რომ მსიამოვნებდა მან-  
 თიზე ხრეწვდა.  
 — იმ დამეს, ბოლო დამეს ვეგობობდა  
 ვიქმე მანოსთან. იმ დამესაც ველოვები  
 მისი. დღარულ სახელედ ლდ და მარეგ  
 შრეებს. პატარა ბავშვივით ვეცილობდი,  
 თითოვლით მთავისათვის დამადების  
 მიზეზი შეუნდებინა. ფერებში ვართულს  
 არ ვამივია, როგორ ჩამეძინა. ხელის შე-  
 ნებამ ვამომივინა, თავს მანო დამდგო-  
 შიდა. — შელო, მოხედოვ! — მითხრა  
 წყნარად და თბილი თავსული მომავარი  
 მხრეზე მარტუხა ვეგვინა. — ხომ ვაგვარია,  
 ლევანის მტერი არავინ ვაფხვნივდა. დე-  
 მანისმევილი ღმერთივით იქნა იმეღა-  
 ჩინობა.  
 მანო ვატრობოდა, ვაჭირვებით მიშვილა  
 სწორადობა. მიუხედავად. მიცინო. სახე  
 შეშეშა.  
 — წყალობდა მანო. სხეულში სიკოცლის  
 უკანასკნელი ურდელით მტყინდებენ, მა-  
 გარამ სისხლბოცელო მოინატრება სულს  
 სხეულთან ვაჭრის სახეულბობას არ ახლ-  
 ვდა.  
 მთელ დამეს ცვედივდა ზამთარი... მან-  
 თი სოფელ ოღეს ვამოვიდა და ვამთიონ-  
 მას მთავარს სული დამეშვიდებოდა. თვლი-  
 თი ვარზე დარჯი, ლევანს ლოლია.  
 სიკვლის უკანასკნელად ვაგველედ თვა-  
 ლებში. ის ადრე იყო სანდრელი და ცელ-  
 ლის სახელით. ის ხან ჰუარის ფოთლებდნენ  
 დასახლებულ მწვენიარი მანო ქალი იყო, ხან  
 ვაგვარევივით ლმე.  
 ვე ვინებოდა წყვილი ამ ვაჭვივინდ მანო.  
 მას ხომ ჰყავდა ვრავი, ვარც მოუხვდა.  
 დარჯივარის დღეს ჩამოვინდნა საზღ-  
 ვარეგროვიდან ლევანი.  
 ლალი მიჩინალოდი.  
 ის უფრანკოსების ვაჟსულბობის  
 IX სულის სიკვდილს  
 ნ. კაკაბეძე, 1888 წელი.



აკადემიკოს ვარლამ თოფურიაზე საუბრობენ მისი მოწაფეები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორი გიორგი როგავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბესარიონ ჯორბენაძე, უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი: ნია აბესაძე, ელენე კოშორიძე და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლია ჭეიშვილი.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** დიდი ადამიანი იყო ბატონი ვარლამი. ღრმა მკვლევარი ქართული ენისა, დიალექტოლოგი, ლექსიკოლოგი, სევანური ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა და გრამატიკის უბადლო სპეციალისტი, ქართული ენის საუნივერსიტეტო კურსის ერთ-ერთი შემქმნელი.

ჯერ მარტო ბატონი ვარლამის სამეცნიერო სტილზე რამდენი რამ ითქმის. ლაკონური, ზუსტი, ტეკვილი, აზრი რაფინირებულიად და ყოველისმომცველად ხორცშესხმული. არაფერი — ზედმეტი ან ნაკლები. მცირე მოცულობის ნარკვევი ხშირად მონოგრაფიული კვლევის შედეგებს იტევს.

**გიორგი როგავა.** მან გამოაქვეყნა ბრწყინვალე მონოგრაფია — „სევანური ზმნა“, სხვა მისი ნაშრომები კი მოცულობით დიდი არ არის, ოღონდ თითოეული მათგანი არსებითი ხასიათის დებულებებითაა დატვირთული.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** და რა უბრალო იყო იგი ცხოვრებაში. მასთან ყოველი მოსაუბრე თანაბარი უფლებით სარგებლობდა, მიუხედავად თავისი განათლებისა თუ სამეცნიერო ცენზისა. იგი არავის აგრძნობინებდა თავის უპირატესობას. და ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ უთუოდ იგრძნობდი, რომ შენ ხარ რაღაცით უფრო უკეთესი და მასთან ერთად უფრო პასუხისმგებელი შენი მოქმედებისთვის, ვიდრე აქამდე იყავი.

**ელენე კოშორიძე.** ბატონ ვარლამს ცოცხალ ვერ გავუბედავდი, რაიმე მეთქვა ან დამეწერა მასზე. ის თავის მოწაფეებს დისერტაციის დაცვის დროს მადლობის თქმის ნებასაც არ აძლევდა. ეს ჩემი მოვალეობაა! — იტყოდა ხოლმე.

სამოცი წელი რომ შეუსრულდა, ბუნებრივია, საზოგადოებრიობას სურდა, მისთვის იუბილე გადართობოდა. ბატონმა ვარლამმა ეს არ დაუშვა.

როგორ დამავიწყდება: კათედრა მაინც შეეცადა, რითიმე აღენიშნა ეს თარიღი. საიდუმლოდ მომზადდა ვახშამი ქალბატონ მარიამ თალაკვაძის ოჯახში... და აი, ცნობილი ხელოვანის — მიხეილ მამულაშვილის ნახელავი ყვავილების კალათით ხელდამშვენებულდამა მოკრძალებით შევალეთ ბატონი ვარლამის ეზოს ჭიშკარი. შინ მხოლოდ ნანა და გურამი დაგვხვდნენ — შვილები.

მეორე დღეს ბატონმა ვარლამმა გულწრფელად გვისაუკუთხა კალათისათვის, მაგრამ სტუმრობაზე უარი არ უთქვამს და მეუღლესთან — ქალბატონ თამართან ერთად მობრძანდა ქალბატონი მარიამის ოჯახში. ეს იყო 1961 წლის 8 იანვარი. მას შემდეგ ამ დღეს ყოველთვის ბატონი ვარლამის ოჯახში ვიკრიბებოდით. დაუ-

ვიწყარი იყო ის დღეები: უბრალო, გარეგნულ ბრწყინვალეობას მოკლებული, მაგრამ ადამიანური სითბოთი და სიყვარულით სავსე.

ბატონი ვარლამი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ბანკეტისა და რეკლამისა, განსაკუთრებით დისერტაციის შემდგომ გამართული წვეულებებისა. ერთხელ შევხვდეთ: ნუთუ ცოდვია, მოსწავლეს ჰქონდეს სურვილი, ერთხელ მაინც ეწვიოს მას შინ თავისი მასწავლებელი? ამისთვის კი დაცვის დღე ყველაზე შესაფერისია, რადგან დიდ სიხარულს სიხარული დაემატებამეთქი.

— სტუმრობა? რა თქმა უნდა, შეიძლება. სიამოვნებით წამოვიდოდი თქვენთან რთველში, მოგეხმარებოდით კიდევ, — მითხრა და თავისებურად თბილად გამიღიმა.

ერთხელ ბატონ ვარლამს წყნეთში ვეწვიეთ მე და თინა ღვინაძე. ხეხილი ახალი ჩაყრილი ჰქონდა. ბაღი — შესანიშნავად მოვლილი, ნაპატრონები. ფერად-ფერადი მიხაკების სუნიმაც გაგვაბრუნა და, როცა აღტაცება ვერ დაგვფარებ, გულწრფელად შეწუხდა: ახლა ძალიან ცხელა. ვერ მოვთხრი ძირებს, თორემ გაგატანდითო.

...მეორე დღეს, დილის ათ საათზე მე და თინას უკვე გვქონდა იმ მიხაკების ძირები. აღრიხნად აღდგარიყო ბატონი ვარლამი, მოეთხარა და გურამისათვის გამოეტანებინა. მხოლოდ ერთხელ შევხვდეთ ბატონ ვარლამს, ყვავილები მიმერთმია მისთვის — ეს ის მიხაკები იყო, დედაჩემმა ბატონი ვარლამის ნაჩუქარი ძირებიდან რომ ახარა.

ბატონმა ვარლამმა ჯერ კუშტად შემომხედა, მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ნელ-ნელა გაეხსნა შუბლი.

**ლია ჭეიშვილი.** ერთხელ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ავად ვახდა. მდგომარეობა მძიმე იყო, საავადმყოფოში მოათავსეს. ბატონ ვარლამს გაეგო ეს ამბავი. დამირეკა და მთხოვა, რომ მის სანახავად წავსულიყავით. მან მთავარი ექიმი ნანა, ესაუბრა, სთხოვა: თუ საჭირო ვახდეს რაიმე წამალი, ნუ მომერიდებთ, უმალ შემატყობინეთო. მერე თავად სტუდენტი მოინახულა, ანუგეშა, გაამხნევა, დაამედა. ბოლოს კონვერტით ფული მომცა: რაც უნდა, ყველაფერი უყიდეთ და მოუტანეთო.

არასოდეს ავიწყდებოდა ხელმოკლე სტუდენტების დახმარება. ვინ იცის, რამდენჯერ საკუთარი ფული დაუტოვებია, ამა და ამ სტუდენტს გადაეცით, უნივერსიტეტმა დახმარება გამოყო მისთვისო.

**გიორგი როგავა.** მისი ხელგაშლილობა ხომ ცნობილი ფაქტია, ეკონომიურად ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს, სხვა რესპუბლიკებიდან ენის შესასწავლად ჩამოსულ ახალგაზრდებს, ასპირანტებს. თუ სადმე შევიდოდით საუზმის ან სადილისთვის, დაკანონებული ჰქონდა: მასპინძელი აუცილებლად თავად უნდა ყოფილიყო. ერთხელ, ქუთაისში მუშაობის დროს, შევძელი და ფარულად გადავიხადე დანახარჯი. იმ საღამოს ბატონი ვარლამი თბილისში ბრუნდებოდა. ამ დროს ყოველთვის მე ვაცილებდი. ფეხით მივიდიოდით სადგურამდე. ეს ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. იმ დღეს ეს სიამოვნება ჩამეშალა. ბატონმა ვარლამმა ხმა აღარ გამცა. როცა მოემზადა წასასვლელად და მეც დავაპირე გაყოლა, რაზე წუხდებითო, — ცივად მითხ-

რა, სასწრაფოდ გააჩერა ეტლი და შეგ ჩაჯდა. ძალიან შევწუხდი... რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე წერილი, რომელიც ჩანდა, ძალიან წუხდა ჩვენი უნივერსიტეტი ვამო.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ბატონი ვარლამი ფლობდა საოცარ ხელოვნებას — ყოფილიყო ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა პირველადი მძივნი.

შეუცდომლად მიაგნებდა ხოლმე ახალგაზრდის ნიჭსა და მისწრაფებას. მერე ყველაფერს გააკეთებდა ამ ნიჭის გამოსავლენად და სწორი გეზის მისაცემად. ჯერ მარტო სტუდენტების საენათმეცნიერო მივლინებებზე რა ძალასა და ენერგიას ხარჯავდა.

**ელენე კოშორიძე.** ვიდრე სტუდენტებს საენათმეცნიერო მივლინებაში გაავხავნიდა, ჯერ თავად ჩავიდოდა ადგილზე, შემოწმებდა ცხოვრების პირობებს. ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც გაესაუბრებოდა, გაარკვევდა საქმის არსში და სათხოვდა, ხელი შეეწყობოთ ახალგაზრდებისათვის...

**ნია აბესაძე.** მუდმივი კავშირი ჰქონდა მივლინებაში მყოფ სტუდენტებთან. ახლაც თითქმის ზეპირად მასსოვს მისი წერილი, რომელიც სვანეთში მივიღე: „პატივცემულო კოლეგა ნინო! — მწერდა იგი. — თანახმად პირობისა, თქვენგან წერილი უნდა მიმეღო. ჯერჯერობით არა ჩანს. იმედი მაქვს, რომ შემატყობინებთ, როგორა ხართ და როგორ მიღის თქვენი მუშაობა!

ზოგი რამ ვიცი, მაგრამ დაწვრილებით გავიგებ ცოტა მოგვიანებით. გამოირკვა, რომ ამხანაგები წერილს იშვიათად უგზავნიან მშობლებს და დეპეშით კმაყოფილდებიან. გადაეცით ამხანაგებს, რომ დეპეშა არაა წერილის მაგიერი. ეს, სხვათა შორის. მთავარი მუშაობაა. ამის შესახებ კი ცოტა ვიცი...

გახსოვდეთ, რომ თითოეულმა თქვენგანმა უნდა ჩამოიტანოს ჩანაწერები (ლექსიკური მასალა, ტექსტები, გრამატიკული ვარჯიშობანი) არა ნაკლებ რვეულის 250 გვერდისა. ამდენი მასალის შეკრება დროსა და დაძაბულ ენერგიას მოითხოვს. ყოველდღე თუ არ იმუშავებთ და არ ჩაიწერებთ მასალები 6-7 გვერდის რაოდენობით, შედეგი სამწუხარო იქნება...

სვანეთი უთუოდ მოგეწონებოდათ. შესანიშნავი ადგილებია. კარგი იქნება, თუ ადგილებს ნახავთ, ხალხს გაიცნობთ...


გთხოვთ, გადასცეთ ამხანაგებს ჩემი მოკითხვა და ეს დიდი სურვილები. იყავით კარგად.

**პატივისცემით ვ. თოფურია.** მერე იგი სვანეთშიც ჩამოვიდა. ყველაფერი დაუფიქრარი იყო იმ დღეებში. ის აღტაცებაც, რომლითაც „თეთლდისფერთმიან მოძღვარს“ შეხვდნენ თავისი მთქმელები, ბატონი ვარლამის სითბო და სიყვარულიც და მუხავე წყლებთან ფარული, შეუმჩნეველი, იმპროვიზებული გამოცდაც სვანურ ენაში...

**ლია ჭეიშვილი.** ექსპედიციიდან დაბრუნდებით და, საგანგებოდ მოიწვევდა კათედრის სწდომას, თან ანგარიშს გვაბარებინებდა, თან გვაგრძობინებდა, რა მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთეთ.

**ელენე კოშორიძე.** ყველას გვახსოვს, რა ძალას ხარჯავდა „ახალგაზრდობის მასწავლებლად კურთხევის“ საქმეზე. გვახსოვს ბატონი ვარლამი პედაგოგიური პრაქტიკის დღეებში. ან რა ყურადღებით ეპყრობოდა იგი უცხოეთიდან ჩამოსულ





# იხილეთ რობორტი იყო ვარლამ თოფურია?

ქრონიკალი  
გინელოგიური

სტუდენტებს. არდადეგების დროს ჩვენთან ერთად აგზავნიდა მათ საქართველოს რომელიმე კუთხეში სამუშაოდ. ამით ჩვენს დაახლოებასაც უწყობდა ხელს და იმასაც, რომ ისინი სრულად გასცნობოდნენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, ისტორიულ ძეგლებს...

**ნია აბესაძე.** სტუდენტთა გაცვლა ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის თავდაპირველად ვარლამ თოფურიას ინიციატივით წამოიწყო 60-იან წლების დასაწყისში.

ბატონი ვარლამის მიერ აღზრდილი მოწვეული სტუდენტები ამჟამად თავიანთ რესპუბლიკებში ცნობილი მეცნიერები და მთარგმნელები არიან და დიდ პოპულარიზაციას უწყვენ ქართულ კულტურას.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ბატონი ვარლამი უარესად მომთხოვნიც იყო. ასპირანტი, რომელიც მასთან მუშაობდა, იოლად ვერ მიიღებდა ლექციებზე შესვლის უფლებას.

**ელენე კოშორიძე.** ჯერ მის პედაგოგიურ გამოცდილებაზე ზრუნავდა, ასწორებინებდა საკონტროლო თუ საკურსო წიგნებს, ასწრებდა გამოცდილი ლექტორების ლექციებს, გამოცდებს, აგზავნიდა სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკაზე...

დიდი, რთული გზის გავლა იყო საჭირო მანამ, სანამ აუდიტორიაში შესვლის ნებართვას მიიღებდი.

**ლია ჭეიშვილი.** მერე როგორ შეეძლო ბატონ ვარლამს სხვისი შრომის დაფასება.

**ელენე კოშორიძე.** თავის გამოცდილ სტუდენტს ან ასპირანტს აუცილებლად კიდევ სხვას გაასაუბრებდა. ასეთი იყო მისი მუშაობის მეთოდი. მაგრამ ეს შეუმჩნევლად ხდებოდა!.. გადამდები სიმშვიდე ჰქონდა ბატონ ვარლამს. შემპარავად, თითქოს სხვა საგანზე საუბრით იწყებდა და ურთულეს საკითხებზე იოლად, მარტივად აკეთებინებდა დასკვნებს.

**გიორგი როგავა.** მახსოვს, ერთხელ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწერა ერთ სტუდენტს (ქუთაისში მოხდა ეს). იგი ლაღო ასათიანი გახლდათ. სწორედ იმ დღეებში გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთში ლაღო ასათიანის ორი ლექსი. ბატონი ვარლამი აღფრთოვანდა ამ ლექსებით, ძალიან შეაწუხა თავისმა „დახა-

შაულმა“, სასწრაფოდ დაიბარა ლაღო და ნიშანი გადაუსწორა.

**ელენე კოშორიძე.** ახლა, ალბათ, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ აკადემიკოსი, რომელსაც თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა, რაიონში წასული კურსდამთავრებულებისთვისაც იცლიდა.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ეს მაშინ კათედრას ოფიციალურად არ ევალდებოდა. ახლა ამაზე საგანგებო მითითება არსებობს.

**ელენე კოშორიძე.** ბატონმა ვარლამმა ზედმიწევნით იცოდა, ქართველური განყოფილების რომელი კურსდამთავრებული სად მოღვაწეობდა, რას აკეთებდა, როგორ ცხოვრობდა. დილაქტურ გარემოში მოხვედრილთ ავალებდა დაკვირვებას მოსწავლეთა წერიტს ნამუშევრებზე, მათგანვე მოითხოვდა, მოეძებნათ ყველა გზა და საშუალება, რომ მოსწავლეებს დაეძლიათ ეს შეცდომები. რაიონში მომუშავე მასწავლებლები მოხსენებებითაც ბევრჯერ წარუდგენია კათედრის წინაშე.

ბატონი ვარლამი საგონებელში ჩავარდნილი ახალბედა მასწავლებლების ნუგეშიც იყო.

ეს თანადგომა საკუთარ თავზე გამოცადე: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სოფელ ნინოწმინდაში წავედი სამუშაოდ. იქ რაღაც გაუგებრობის გამო მუშაობის უმძიმესი პირობები შემექმნა. ძალიან მიპირდა ბავშვებთან განშორება, მაგრამ გადავწყვიტე, მიმეტოვებინა სკოლა.

და აი, სასტიკად გაორებული, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს ვკრავ ბარგს და თბილისისაკენ უნდა გამოვემგზავრო, რომ ფოსტალიონს წერილი მოაქვს, კონვერტზე ბატონი ვარლამის ხელი ვიცანი...

ძნელია მაშინდელი განცდის გადმოცემა. თითქოს ბატონმა ვარლამმა დანაშაულზე წამასწრო.

კონვერტში იღო ასლი ჩემი დახასიათებისა, რომელსაც თურმე აკადემიკოსი ვარლამ თოფურია იქაურ ხელმძღვანელობას უგზავნიდა. მე კი მაშინვებდნენ ჩემი მასწავლებლები.

ეს ჩემთვის დიდი თანადგომა იყო. სკოლა, რა თქმა უნდა, აღარ მიმეტოვებია.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ძალიან ძნელია, გადმოსცე ბატონი ვარლამის გარეგნული მშვენიერება და პიროვნული ღირსებები.

ადამიანური სიბოლო და პედაგოგიური ხელოვნება, მისი დიდი მეცნიერული ღვაწლი. იგი ყოველმხრივ შემკული პიროვნება იყო: სპეტაკი, სახენათელი, სათნობისა და კეთლშობილების განსახიერება. ის რომ ფეხს შემოღვამდა, თითქოს, ნათელი ეფინებოდა მეცნიერების დიდ ტაძარს; არავის და არაფერს დატოვებდა შეუმჩნეველს...

**ელენე კოშორიძე.** ვიდრე ქართული ენის კაბინეტში შემოაღწევდა, სტუდენტებით, ასპირანტებით, თანამშრომლებით გარემოცული ტრიალებდა დერეფანში.

ბატონი ვარლამის კოლეგებსა და თანამშრომლებს, სტუდენტებსა და ასპირანტებს ასსოვთ იგი ქართული ენის კაბინეტში საწერ მაგიდასთან თავჩარგული ქალაღებ-სა და ბარათებში, ასსოვთ ენათმეცნიერების ინსტიტუტში, პიონერთა სასახლეშიც ნორჩი ტოპონიმისტებისა და ფილოლოგების კონფერენციებზე. ასსოვთ შინ, თავის სამუშაო კაბინეტში, სადაც ძნელად იზოვიდით დასაჯდომს. მაგიდა კი არა, სკამებიც სავესე იყო წიგნებით, ბარათებით, ხელნაწერებითა თუ საკორექტორო მასალით...

**ლია ჭეიშვილი.** ბედნიერნი იყვენ ის თაობები, რომელთაც მასთან ჰქონდათ ურთიერთობა, პირადად იცნობდნენ ან თუნდაც შორიდან ხედავდნენ მას.

**ელენე კოშორიძე.** ბატონი ვარლამის დაკარგვა გაუხელებელ ტკივილად დარჩათ მის მოწაფეებსა და კოლეგებს.

ეს ტკივილი მიმძაფრდება, როდესაც მახსენდება ბატონი ვარლამის უბრალო ნათქვამი: სიამოვნებით წამოვიდოდი თქვენთან რთველში, მოგხმარებოდით კიდევცო.

მე კი ვერც ერთხელ ვერ შევბედე მას მიპატიჟება... და, როცა 1966 წელს მისი მიწვევა გადავწყვიტე, თითქოს განვებამ ინება, რომ რთველისთვის დათქმულ დღეს (9 ოქტომბერს) აღარ გვეყოლოდა ძვირფასი მასწავლებელი.

ათრთოლებული ხელებით ვამკობდით მის სამუდამო სამყოფელს დიდუბის პანთეონის წმინდა მიწაზე.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ვარლამ თოფურიას მიერ ქართული ენის უძველეს და უწმინდეს ტაძარში დანთებული სანთელი კვლავაც სპეტაკია და უქრობელი.



დავით აღმაშენებელი

გალოზანი სინანულისანი

გალოზა პირველი

1. რომლისაცა წინაშე ქედღრეკილ არს უოველი, მუხლი უოველი მოდრეკების და ენაა უოველი შენსა ხმობს აღსარებასა. შეცა, სიტყვაო, აღმსარებელსა მომხედენს!

2. ხატსა თუისსა მამხგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე. შენებრ არსთა ხიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმადლო გექმენ.

3. ბუნებითი რაა ძალნი, არა სჯულთაებრ ვიხუმიენ, მსგავსებისაგან დაჯკლდი და დაკვბადე ბოროტი, ხოლო ხილულთამიერსა გემოვნებასა ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

4. ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუაა განაზრქე ბოროტითა და კარვითა მიწისადათ, სიზრქე უსასობისა განმძარცუე, რაათა მონანული შეგივრდე შენ!

გალოზა მეექვსე

1. სოლომონისადასა წურბლისა მსგავსად ვერმადლარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაპურობელად, და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ, ვითარცა მცირეთა და უნდოთა, ჩემისამდე უძლებებისა და გულისთქუმისა.

2. ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევპრთე სახლი სახლსა, და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურტესთა მივხუევი ნაწილი მათი. და ვილუწი უმეზობლობასა, ვითარცა მარტოა ვმკუიდრობდ ქუეყანასა ზედა.

3. მბრძოლ ვექმენ უოველთა წესთა შჯულისა შენისათა და ქორწილთა მიერ ხენუთა ვაპმძლავრე საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა — ისრაელი.

შენიშვნები: რომლისაცა წინაშე

— იგულისხმება შემოქმედი, ღმერთი, უღრ. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტრიქონები: „რომელმან შექმნა სამყარო“. სიტყვა — საგალობლებში რამდენჯერმე გვხვდება იგი ძველი ბიბლიური მნიშვნელობით და ნიშნავს ლოგოსს, ქრისტიანული სამების მეორე წევრს, ძეს ღვთისას, ქრისტეს. იხ. იოანეს სახარების პირველივე ფრაზა: „პირველითგან იყო სიტყუა, და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი“. საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე — აქ საუბარია იმაზე, რომ აღამიანი ღმერთმა დაადგინა „გრძნობისა და გონიერების სამყაროსა და ნიჭის შემეარებლად. ეს თე-

4. ამისთვის ქალწული დედაა, და შობაა ახალი სიტყუისა, რაათა ახალი ხატყოფა მეორედ მისცეს ცოდვით განმრყუნელთა მისთა, დედობრივთა რაათა ოხათა ბრძმელთა დადნოს უოველი ნივთი შეცოდებისა!

გალოზა მეცხრე

1. უამი რაა წულდელთა და ხმელთა აღმოფშუინვათაა წარმოდგეს, ზარი მეფობისა წარბდეს და დიდებამა დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, უუავილოვნებაა დაქნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრათა, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჭულო ჩემო!

2. გან-რაა-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა და მე ქედღარეკილი წარმოგადგე განკითხვად, მსაჭული მართლ სჯიდე, მსახურთა რისხვად ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი, მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

3. ვინათგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა და განხმელთა მოპბერა სული კულად-შობისაა, მრწამს, ვითარმედ აღვსება სრულყოს ღმერთმან ჩემ შორის უოველისავე სინანულით აღდგომისაა.

4. მართო, სრულო, სამწეო, ერთციხკროვნებაო, განმინათლე მხედველობითი სულისაა, რაათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისადათა, სულითა ღმრთისადათა ძე გამომბრწყინვო მაშინ დაუსრულე მელთა საუკუნეთა!

5. არა უხილავს მწესა ქალწული დედა თუინიერ შენსა, არცა ჩემოდნად ბრალეულსა — ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა.

სება აღამიანს თვით ღვთაების ხატებას

ამსგავსებდა“ (ივ. ჭავჭავაძის). საკრველი ბორკილს, შესაკრავს ნიშნავდა ძველქართულად და არ არის გამორიცხული, რომ ზემოთმოტანილ ფრაზაში სხვა შინაარსიც დაეინახოთ: აღამიანს ღმერთმა გრძნობათა დათრგუნვა და გონიერი, გონისმიერი არსებობა დაუწესა. ვიხუმიენ — ნაწარმოებია სიტყვიდან ხუმევა, რომელიც ნიშნავს მიჩნევას, ტვირთვას, გამოყენებას და ა. შ. ფრაზაში „ბუნებითნი რაა ძალნი არა სჯულთაებრ ვიხუმიენ“ ნათქვამია, რომ სჯულის, წესის დარღვევით მოვექციე იმ შესაძლებლობებს, რაიც ბუნებით მქონდა მონიჭებული. მსგავსებისაგან დავაკლდი — ამის გასაგებად უნდა გავისენოთ ბიბლიური თეზა, რომ

ღმერთმა აღამიანი შექმნა მის მიმსგავსებულად, „სახედ თვისად“, მაგრამ აღამიანი ცთუნებათა გამო განუდგა მას, დაეცა და მოაკლდა ოდინელე მსგავსებას. ჰიმნოგრაფი ამ შემთხვევაში თავის თავს მიიჩნევს ასეთი დაცემის მაგალითად. სოლომონ — აქ იგულისხმება ბიბლიური მეფის სოლომონის ცნობილი იგავი გაუმადლარ წურბელაზე (იხ. იგავნი, 30, 15), რასაც თავის საქციელს ადარებს საგალობელთა ავტორი. ამავე თემას ავითარებს ჰიმნოგრაფი შემდეგაც: „ბოროტად გარდავხედ საზღვართა“, სადაც თითქოს უნდა იგულისხმებოდეს დავითის მიერ საზღვართა გაფართოება, ხოლო ბიბლიურ წიგნთა სჯულდებით ასეთი მცდელობა უეტურებდა ითვლებოდა. ხე-

ნეში — ავი, უსაქციელო. უამი რაა წულილთა და ხმელთა აღმოფშუინვათა წარმოდგეს — აქ საუბარია გარდაცვალებაზე, სულისა (წულილი) და სხეულის (ხმელი) გაყარაზე, უკანასკნელი ამოსუნთქვის დადგომის დროზე. ძუალი ძუალსა თანა — აქ მკვდრეთით აღდგომაზეა საუბარი, როცა მიცვალებულთა ძვლები კვლავ აღორძინდებიან. განხმელი — ხმელი, გამხმარი. მართოსრულო, სამმწეო—ერთციხკროვნებაო — ქრისტიანულ მწერლობაში გავრცელებული სახეებია ღვთისა. ღმერთი მარტივია, რადგან განუყოფელია, ღმერთი სრულია, რადგან უნაკლოა, ხოლო ერთნათებად შენივთებული, ცისკარავით მანათობელი სამი მზე სამების გამომხატველი პოეტური ტროპია.

ქართულ სასულიერო პოეზიაში სრულიად განსაკუთრებულია დავით აღმაშენებლის შემოქმედებული გორც ცნობილია, ძველი საქართველოს ერთი ძველად გამოჩენილი მეფე და პოეტ-სულიერის მამად წე (წეობის წლები 1189-1225) ამასთან ღრმად განსწავლული პიროვნება იყო, რაზეც მეტყველებს არაერთი უცხოური თუ ქართული ხაინტორიო წყარო. იგი დიდად იყო დაინტერესებული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მწერლობით და, როგორც ჩანს, თვითონაც იღებდა უშუალო მონაწილეობას მის განვითარებაში.

ჩვენამდე მოაღწია მისმა უნიკალურმა ჰიმნოგრაფიულმა თხზულებამ „გალოზანი სინანულისანი“, რომელიც საუკველთაო აღიარებით გამოირჩევა როგორც პოეტური ფორმით, ისე ღრმა ფილოსოფიური განსჯით. ავტორი ბიბლიურ მოტივებზე დაყრდნობით ავითარებს აღამიანის ცოდვა-მადლისა და მოვალეობის ზოგადსაკაცობრიო საკითხებს და ესმინება ქრისტიანული მწერლობის უდიდეს ავტორიტეტებს.

თვითშემცნების გზაზე აღამიანმა ჩაიღინა პირველი ცოდვა, დაშორდა ღვთაებრივს და გაუკუყოფიერების მცოტუნებელ არსებობას. ქრისტეს მოვლინებაც „აღამიანის დაცემისაგან“ აღდგინების მომასწავებელია. „გალოზანის“ ავტორი, ამ შემთხვევაში მეფე-ჰიმნოგრაფი, საკუთარ „მეში“ ეძიებს უველა ამ ცოტუნებათა დასტურს და უღრმენი ტკივილების წარმოჩენით ინანიებს უველა იმ ცოდვას, რომელიც მას, როგორც აღამიანს, თუ არ ჩაუდენია, ფიქრებში მინც გაუვლია (რადგან ქრისტიანული ავღლსაზრისით ეს ერთი და იგივეა).

ამ შემთხვევაში დავითი ამქვლავნებს უმაცრეს მოთხოვნებს საკუთარი თავის, მის მიერ განვლილი ცხოვრების მიმართ, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ეს, სამწუხაროდ, ესმოდა ზოგ მკვლევარს, რომ „გალოზანი“ ჩამოთვლილი სინანული ცოდვების გამო მხოლოდ პირადი გამოცდილების საფუძველზეა აღმოცენებული. ზოგადსაკაცობრიო და პირადი აქ ერთმანეთშია გადაჯაჭვული და განსაკუთრებულ ინტიმს ანიჭებს იშვიათი პოეტური შთაგონებით შექმნილ სტრიქონებს, აღამიანური აღსარების უკვდავ ძეგლს.

„გალოზანი“ გამოცემულია მრავალჯერ. მის ტექსტოლოგიურ დახვეწაში მონაწილეობდა თითქმის უველა ცნობილი მკვლევარი. ბოლო ხანებში „გალოზანის“ ტექსტის მცენიერულ გამართვაზე დიდად გაისარჩენ ლაურა გრიგალაშვილი, აგრეთვე ახალგაზრდა მკვლევარი ზურაბ ჰავეცავაძე და სხვები.

წინამდებარე ტექსტი ემყარება როგორც ძველ, ისე თანამედროვე გამოცველებებს. გასაგები მიზეზების გამო „გალოზანის“ მთლიანი ტექსტიდან, რომელიც რვა გალოზისაგან შედგება, აქ წარმოდგენილია მხოლოდ პირველი, მეექვსე და მეცხრე გალოზა.





# აკაკიმ დალოცა



ამოთელიში აკაკის იუბილეს გამო

ქუთაისში 1908 წელს 14 დეკემბერს

106 სურს Akakiy Uchilishvili 1908

როდესაც ჩვენში მწერლობა თანდათან იშრებოდა, შენ მოგელოდი — ხე წმინდად და ნახვა მენატრებოდა. მოხველ თავმდაბლად და ამბობ: „გეახელ ახალ დვრიტადო“, და მეც რას გეტყვი მოხუცი, თუ არა „ჭეშმარიტადო“, — ეს აკაკის სტრიქონებია. შიო არაგვისპირელზე უთქვამს.

შემდეგ აკაკი წერდა: — „ვიტყვი გულწრფელად, ნამდვილი განთიადი ამ უკანასკნელ ხანებში ღვება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავისი პატარ-პატარა ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო არაგვისპირელს“ (დაიბეჭდა „კვალში“ 1896 წ. № 21).

აკაკის განსაკუთრებით მოსწონებია არაგვისპირელის ენა, წერის თავისებური მანერა. გაუხარებია იმასაც, რომ შიოს ასე ეხერხებოდა ცხოვრების შეუღამაზებლად ხატვა.

შიო პროფესიით ხომ ბეითალი იყო. ყოველდღიური მომაბეზრებელი საქმე დიდ დროს ართმევდა. თანაც წვრილშვილიანი ოჯახით... იცოდა ეს აკაკიმ და განსაკუთრებული გულისხმიერებით ზრუნავდა შიოზე.

ერთ დღეს იაკობ გოგებაშვილთან ერთად ქუჩაში მიმავალი პოეტი შეხვედრია შიოს. მისალმების შემდეგ შინაურულად მხარზე ხელი დაუკრავს და უთქვამს:

— რაშია საქმე, ჩემო შიო. მე შენი დიდი იმედი მქონდა, შენ კი ამ უკანასკნელ დროს ნაკლებადლა წერ ეტიუდებს?

— რა ვქნა, ბატონო აკაკი, ოთხი შვილის მამა ვაჩაღვართ. საზრუნავი ბევრი მაქვს და წერისათვის დრო არა მრჩება.

აკაკის შიოს პასუხზე გაღიმებია, მერე იაკობისთვის შეუხედავს და ზუმრობის კილოთი დაუმატებია:

— ჰო, ახლა კი მივხვდი, ჩვენი იაკობი რატომ არ ქორწინდება, არ უნდა წერაში ხელი შეეშალოსო.

აკაკი არაგვისპირელს მურილიოს ადარებდა, სახელგანთქმულ ესპანელ მხატვარს, რომელმაც პატარა ტილო დახატა, მაგრამ შედეგს წარმოადგენდა.

ერთმა უნიკო მხატვარმა მურილიოს სურათის გვერდით თავისი ნამუშევარი — სპილოს დიდი სურათი მოათავსა, — ჰყვებოდა აკაკი. — მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. გაოცდა, თურმე, მხატვარი: ჩემი სურათი ხომ მურილიოს ნახატზე უფრო დიდიაო.

პოეტი იქვე ასკვნის:

— ჯერ ბოდიში უნდა მოვიხადო და ვთქვა, უმეტესობას ჩვენშიაც არ ესმის ხელოვნება. ეს პატარ-პატარა ეტიუდები მამლის ყვილივით წინამორბედნი არიან ჩვენს ცხოვრება-ლიტერატურაშიო.

ნინო ნაკაშიძე როცა შიოს გაიხსენებდა, ყოველთვის სიამოვნებით ამბობდა ხოლმე: აკაკი წერეთელს განსაკუთრებით უყვარდა შიო და კმაყოფილებით ამბობდა, ნიჭიერი მწერალია და ამასთან, ხალხის ცხოვრებას საფუძვლიანად იცნობსო.

აკაკი ხშირად სტუმრებია შიოს ოჯახს. სტუმარს ხალისიანი განწყობილება შეჰქონდა მეგობრის მყუდრო ბინაში.

ცნობილია, რომ ხანდაზმულ აკაკის მხედველობა დაღატობდა და ზომაზე მეტად თავაწეული დადიოდა. შოთას, შიოს პატარა ბიჭს, საოცრად ჰყვარებია პოეტის წვერში ხელის ფათური.

...აკაკისა და შიოს ერთად უნდა გადაეღოთ სურათი. პატარა შოთა მამის გვერდით იდგა. სურათის გადაღების დროს მოულოდნელად ბავშვს ხელი უტაცნია წვერში აკაკისათვის. პოეტს უცაბედად თავი

დაბლა დაუხრია. სწორედ ეს მომენტი აღუბეჭდავს ფოტოგრაფს.

არაგვისპირელის ოჯახში დიდხანს ინახებოდა ეს სურათი, როგორც ძვირფასი რელიქვია.

შიო არაგვისპირელს ვერ წარმოედგინა, რომ ალექსის — აკაკის ერთადერთ შვილს, ქართულ ენაზე მეტყველება უჭირდა. ერთხელ მან მგოსანს მოკრძალებით ჰკითხა:

— ბატონო აკაკი, მართალია, რომ თქვენმა შვილმა ქართულად ლაპარაკი არ იცის?

მცოვანმა პოეტმა შიოს კითხვაზე ჯერ ღრმად ამოისუნთქა და მერე ნაღვლიანად, მაგრამ ორაზროვნად უპასუხა:

— ჰო, მართალია. ჩემმა შვილმა ქართული იმდენად იცის, რომ მასთან ლაპარაკი ამ ენაზე არ შეიძლება...

შიომ მალე შეიტყო ისიც, რომ ალექსის აღზრდა მამის სურვილით არ წარმართულა, თორემ ბავშვი აკაკის სათაყვანებელ ქართულ ენას როგორ არ ისწავლიდა.

აკაკის გარდაცვალებამ შიო არაგვისპირელი ძლიერ დაამწუხრა. სხვებთან ერთად ცრემლიანი თვალებით მიაცილებდა უფროსი მეგობრის ნეშტს მთაწმინდის პანთეონისაკენ და გულდაწყვეტილი ამბობდა: სამუდამოდ გაგვიფრინდა ჩვენი ხმატკბილი ბულბული, სულმნათი აკაკი და აღარასოდეს დაგვიბრუნდებაო. მის ოჯახში კი აკაკის სახელი მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებოდა. შიოს შთამომავლებისათვის ახლაც ნეტარმოსაგონარია მათი წინაპრისა და დიდი აკაკის მეგობრობა.

შალვა მარაოხაშვილი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



დიდი რუსი კომპოზიტორის, გამოჩენილი ქიმიკოსის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე პორფირეს ძე ბოროდინის ბიოგრაფიის ღრმა ფესვები აქვს, რომელიც სათავეს მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეში იღებს.

ეს მოხდა 1618 წელს. მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა რიგითმა მეომარმა ივანე სტეფანეს ძე გედევანოვმა (სხვა წყაროებით გედვიანოვმა), წარმოშობით ქართველმა, მისი გვარი ვახლდათ გედევანიშვილი, ჯარში კი უწოდებდნენ ივანე დიდს. იგი ივერიებდა იერიშზე გადმოსულ ჯარებს, რომლებიც შედიოდნენ რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ შექმნილ პოლონეთ-შვეიცის კოალიციაში. გედევანოვის (ივანე დიდის) მეთაურობით მეომართა ჯგუფმა მტრის გაცილებით ჭარბი ძალები უკუაქცია.

ეს გედევანოვის ერთადერთი გამირობა როდი იყო. მისი სიმამაცითა და რუსეთის მეფისადმი ერთგულებით კმაყოფილმა მეფე მიხეილ თევდორეს ძემ თავდადებული სამსახურისათვის, როგორც იუწყებოდა ბრძანებულება, სამემკვიდროდ უბოძა ეოლოგდის მაზრის ყველა საადგილმამულო მიწა. ამ მიწებს ფლობდნენ გედევანოვები XVIII საუკუნის დამდეგამდე, სანამ ივანე დიდის შთამომავლები მას გადასცემდნენ მონასტერს და თავად გადმოვიდოდნენ ეკატერინოსლავის გუბერნიის ქალაქ ბახმუტში. გედევანოვების შთამომავლობა ბახმუტში გაგრძელდა უკვე როგორც გედვიანოვებისა.

აქ, ბახმუტში, ალექსანდრე პორფირეს ძე ბოროდინის პაპას—სტეფანე ანტონის ძე გედვიანოვს, ივანე გედევანოვის შთამომავალს, 1774 წელს შეეძინა ვაჟი და მას ლუკა დაარქვა. ალექსანდრე დიანინის, ა. პ. ბოროდინის მოწაფისა და უახლოესი მეგობრის, აზრით, რომელმაც შექმნა კომპოზიტორის სრული ბიოგრაფია, ბოროდინის წინაპართა ერთ-ერთი თაობა ენათესავებოდა იმერულ ბაგრატიდებს, ანუ, რაც უფრო სიმატლეს შეეფერება, იმერულ თავადებს, რომლებიც საქართველოდან რუსეთში გაიქცნენ ძნელბედობის ჟამს.

ბოროდინის ქართული წარმოშობის ამბავი პირველად საქვეყნოდ განაცხადა ცნობილმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა ვ. სტასოვმა, თუმცა თვით ბოროდინს არასდროს არავისთვის არ დაუმალავს ეს. ვ. სტასოვი წიგნში — „ალექსანდრე პორფირეს ძე ბოროდინი“ წერს, რომ კომპოზიტორი „მამის მხრივ იმერეთის თავადების შთამომავალია“. 1893 წელს ფრანგმა მეცნიერმა ა. ჰაბეტმა აგრეთვე აღნიშნა ბოროდინის ქართული წარმოშობა მწერალი ა. დობროვოლსკი ბოროდინისადმი მიძღვნილ თავის წიგნში აღფრთოვანებული წერს: „ნახეთ როგორია იგი, საშა, ალექსანდრე ბოროდინი... თავად გედვის მეცხრე თაობა; რვაჯერ შეერია იმ თავდაპირველ სისხლს რუსი დედების მძლავრი და მხურვალე სისხლი, ახლა კიდევ აღმოსავლეთი, კავკასია, პაპის დედის, იმერეთის დედოფლის სისხლიც დაემატა ამ რუსულ სისხლს. ასე იგი უფრო ძლიერი და მჩქეფავი გამოვიდა...“

როგორც ა. დიანინი წერს, თვით ალექსანდრე პორფირეს ძეს არაერთგზის უთქვამს თავისი მეგობრებისათვის, რომ „მამის მხრივ ქართული წარმოშობისა“.

მაშ, როგორი იყო, რას წარმოადგენდა ლუკა სტეფანეს ძე გედვიანოვი (გედევანი-

# კიუხა და აღმორენა

## ბოროდინები — იმერულ ბაგრატიონთა შთამომავალნი

დიდი რუსი კომპოზიტორი ალექსანდრე ბოროდინი, რომელმაც უხანაშადად შეისწავლა კავკასიის, კერძოდ საქართველოს ისტორია, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სიუპარულით იყო აღვსილი ამ მხრისადმი, საიდანაც წარმოიშვნა მისი წინაპრები.

შვილი)? მას ჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონდა. 16 წლის ჰაბუკი შედის ველიკოლუცკის მუშკეტერთა პოლკში, სადაც შეიდ წელს იმსახურა და შემდეგ თადარიგში დაეთხოვა პორუჩიკის ჩინით. XIX საუკუნის დამდეგს იგი დაქორწინდა მარია ისაკოვანზე. 1804 წლის 26 მაისს მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც მამამ ალექსანდრა დაარქვა.

ლუკა გედვიანოვი ბედნიერი არ ყოფილა ოჯახში: ალექსანდრას შემდეგ მას შვილები აღარ ეყოლა, ცოლის ავადმყოფობის გამო ხანგრძლივად მოშორებული იყო ხოლმე ოჯახს. მეუღლე გედვიანოვს არც სულიერად აკმაყოფილებდა. თავნება, ჰირვეული, ახირებული ქალი იყო. ქმარს ზოგჯერ რცხვენოდა კიდევ მასთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა. მტკივნეულად განიცდიდა ყოველივე ამას და ზოგჯერ გაურკვეველი მიმართულებით მიემგზავრებოდა ისე, რომ ხშირად ახლობლებმაც კი არ იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი. მოგვიანებით, იგი წლობით ცხოვრობდა პეტერბურგში, ცოლი და ქალიშვილი კი — მოსკოვში. ეს უიღბლო ოჯახური ცხოვრება გახდა სწორედ მთავარი საბაბი იმისა, რომ ლუკა გედვიანოვი და მისი მსახური ავდოტია კონსტანტინეს ასული ანტონოვა ერთგულმა სიყვარულმა ხანგრძლივად დააკავშირა ერთმანეთს. ავდოტია ანტონოვა მეტად ლამაზი, განათლებული, ღვთისმოსავი, ძალზე კეთილი და ალერსიანი ახალგაზრდა ქალი იყო. (დაიბადა 1809 წელს).

ანტონოვას ძმის—სერგი ანტონოვის ნამსახურეობის სიის თანახმად, მისი წარმოშობის შესახებ არსებობს ასეთი ჩანაწერი: „ნარვის განყოფილების ჯარისკაცთა შვილებიდან“. მაშინდელი კანონების მიხედვით, „ჯარისკაცთა შვილები“ ეწოდებოდათ იმ პირების ქალიშვილებსა და ვაჟებს, რომლებმაც განსაზღვრული წლები დაჰყვეს რიგით ჯარისკაცებად სამხედრო სამსახურში. ახალგაზრდობაში ა. ანტონოვას სილამაზეს აღნიშნავდა ბევრი, ვინც მას იცნობდა იმ წლებში. ცნობილი ფრანგი მხატვრის დენიერის მიერ 1840 წელს


შესრულებული მისი პორტრეტი, როგორც ერთ-ერთი ულამაზესი რუსი ქალისა, 1942 წლამდე იყო მისი შვილიშვილის ლ. ე. კონოპოლიოვას საკუთრება.

ლუკა გედვიანოვმა, რომელსაც უყვარდა სახელი ალექსანდრე (მან ქალიშვილსაც ალექსანდრა დაარქვა), ეს სახელი უწოდა ვაჟსაც. დიანინი წერს, რომ „შესაძლოა, იგი პატივს მიაგებდა უფლისწულ ალექსანდრე არჩილის ძის — ქართლის მეფის არჩილის ვაჟის ხსოვნას“. ეს დასაჯერებელია, რადგან ამ სახელს მრავალი ათეული წლის განმავლობაში პატივს სცემდნენ მოსკოვში. ქართლის მეფე არჩილ ვახტანგის ძე მოსკოვში გაიქცა მუსულმანთა შემოსევისას ალექსანდრე მიხეილის ძის მეფობის დროს და თან წაიყვანა შვილები ალექსანდრე და დარეჯანი. მისი ვაჟი ალექსანდრე „იმერეთის უფლისწული“ პეტრე პირველის თანატოლი იყო და მონაწილეობდა მის „გასართობ“ სამხედრო საქმეებში. შემდგომში კი პეტრეს არმიის არტილერიის მეთაური გახდა (გენერალ-ფელდცეხმაისტერი). ჩრდილოეთის ომის დროს ნარვისთან პრძოლაში ალექსანდრე არჩილის ძე ტყვედ ჩაუვარდა შედეებს და ტყვეობაშივე გარდაიცვალა ქლეკით.

დარეჯან არჩილის ასული, თანამედროვეთა ცნობით, 1740 წელს გარდაიცვალა. ალექსანდრეს დაბადების დღეს, 1833 წლის 31 ოქტომბერს (ძველი სტილით), ახალშობილის მამამ, ლუკა გედვიანოვმა განკარგულება გასცა, მისი უკანონოდ შობილი ვაჟი ჩაეწერათ შინაყმის — პორფირე ივანეს ძე ბოროდინის კანონიერ შვილად. ამრიგად, ბიჭუნა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე იმ დროს, საკუთარი მამის ყმა გახდა. და რაც მთავარია, გედვიანოვი (იგივე გედევანოვი, გედვიანიშვილი) გადაიქცა ალექსანდრე პორფირეს ძე ბოროდინად. ასე ათამაშებს ზოგჯერ ბედი ადამიანს.

პატარა ბოროდინისათვის მზრუნველობა მთლიანად დედამ იკისრა. მან შვილს ბავშვობიდანვე ჩინებული აღზრდა მისცა, თვალს ადევნებდა მის განათლებას. ალ-





# დაიმახსოვრეთ...

ქართული ჯადრაკის ისტორიას არ ახსოვს მსგავსი შემთხვევა.

ეს იყო 1988 წლის დეკემბერში. იუგოსლავიის ქალაქ ბელგრადში ჩატარდა ვაუთა შორის „მსოფლიო თასის“ გათამაშების შესარჩევი ტურნირის პირველი ეტაპი. ამ დიდი საერთაშორისო ტურნირის 270 მონაწილიდან 102 დიდოსტატი იყო.

ტურნირში ოთხმოცი საბჭოთა მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის იყო თვრამეტი წლის თბილისელი ოსტატი ლაშა ჯანჭღავა.

თუ ქართველმა ქალებმა მთლიანად დაიპყრეს მსოფლიოს საჭადრაკო სამყარო, ამ მხრივ ქართველი მამაკაცები უფრო მოკრძალებულნი არიან, ამიტომაც ყოველთვის დიდი იმედით ველით ახალი სახელის გამოჩენას.

სწორედ ასეთ იმედისმომცემ მოჭადრაკედ მოგვევლინა ლაშა ჯანჭღავა. მიხეილ ტალმა ერთ-ერთ ინტერვიუში ლაშა ჯანჭღავას „სახამოვნო მოულოდნელობა“ და „პერსპექტიული მოჭადრაკე“ უწოდა. ცნობილი მოჭადრაკის ეს „დახასიათება“ არ იყო საფუძველს მოკლებული.

ლაშამ ხომ ქართველ მოჭადრაკე ვაუთა შორის ყველაზე ადრეულ ასაკში, თექვსმეტი წლისამ მიიღო ოსტატის წოდება, ახლა კი ბელგრადის ტურნირში ცხრა შესაძლებლობიდან მან ქულა (ოთხი მოგება, ხუთი ყაიში) მოაგროვა და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. თუმცა ერთ მთავარ მიზანს მაინც მიაღწია და პირველად შეასრულა დიდოსტატის ბალი. ვაუთა შორის ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართული ჯადრაკის ისტორიაში.

მანამდე კი 1988 წლის მაისში ინგლისის პატარა ქალაქ უოკამში გამართულ ახალგაზრდა მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა და საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა.

ლაშას წარმატებებში დიდია მისი პირველი და უცვლელი მასწავლებლის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის ალექსანდრე ბოკუჩავას დამსახურება, და კიდევ... ოჯახის წევრებთან ერთად ის დიდად ემადლიერება ბიძას, პროფესიით ენათმეცნიერს ვაჟა შენგელიას, რომელმაც აზიარა პირველად ჯადრაკის ანაბანას... მანვე მიიყვანა რვა წლის ლაშა პიონერთა სასახლეში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ამჟამად სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდის. ჯადრაკს მაინც არ ივიწყებს და ამ წელს დიდოსტატის მეორე ბალზე ოცნებობს.

ვუსურვოთ ნიჭიერ მოჭადრაკეს მიზნის ასრულება. ჩვენ კი დავიმახსოვროთ ეს სახელი — ლაშა ჯანჭღავა.

ნუნუ მაღრაძე

ქსანდრე ბოროდინიც უფროსილდებოდა დედის სიყვარულს. დედა მას შინ ასწავლიდა გერმანულ, ფრანგულ ენებს. მანვე მიაქცია ყურადღება, რომ ბიჭს განსაკუთრებით უყვარდა ქიმია და მოიწვია ქიმიის საუკეთესო პედაგოგები. გედიანოვის სახლში მუდამ დადიოდნენ საუკეთესო მუსიკოსები, კომპოზიტორები, რომლებიც ყმაწვილს ასწავლიდნენ ფორტეპიანოზე დაკვრას, კომპოზიციას. აქ იმართებოდა მუსიკალური საღამოები, რომელთა უშუალო მონაწილე გახლდათ ალექსანდრე ბოროდინი — მომავალი დიდი რუსი კომპოზიტორი.

როცა ა. ბოროდინის ბიოგრაფიის ამსახველ წიგნებს, განსაკუთრებით კი დიანინის ყველაზე სრულ და პოპულარულ წიგნს, გავეცანი, ყურადღება მივაქციე ერთ ადგილს, რომელმაც დამაინტერესა და ვიმედოვნებ, ბევრს დააინტერესებს. ეს ადგილი მთლიანად მომყავს: „ერთ-ერთი გედიანოვის აპიპოტეტური ქორწინება შეიძლებოდა „მორგანატიკული“ ყოფილიყო, და საიდუმლოდ ინახავდნენ“... ამ ფრაზას თვით დიანინი შემდეგნაირად ხსნის (ასევე მთლიანად მომყავს, სრულიად შეუცვლელად): „ასეთი „საიდუმლო“ შეიძლება საჭირო იყო, მაგალითად, რუსეთის მთავრობის შიშით! ცნობილია, რომ პეტრე პირველი თავს ქართლის თავადების მემკვიდრედ თვლიდა და მეტად უარყოფითად მოეკიდა ქართლის ბოლო მეფის სურვილს, გვარი გაეგრძელებინა თავის ქალიშვილ დარეჯანისა და პეტრეს ქორწინებით“. პეტრე პირველი სისხლის აღრევის წინააღმდეგი იყო. ყოველივე ეს დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება აღმოაჩინოს და ამოიკითხოს ა. პ. დიანინის წიგნის „ბოროდინის“ 160-ე გვერდზე. ეს წიგნი მოსკოვში გამოიცა 1960 წელს.

დიდი რუსი კომპოზიტორი ალექსანდრე ბოროდინი, რომელმაც შესანიშნავად შეისწავლა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ისტორია, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით იყო აღსავსე ამ მხარისადმი, საიდანაც წარმოიშვნენ მისი წინაპრები. ამის შესახებ, ალბათ, ესაუბრა კიდევ იმერეთის უფლისწულის კონსტანტინეს ჯვრის ეკატერინე იმერეტინსკიას, რომელთანაც იმოგზაურა 1850 წლის აგვისტოში მდინარე რაინზე, იყო ბერლინში, მაინის ფრანკფურტში, რამდენიმე დღე დაჰყო პარიზში. ამ მოგზაურობას და თავადის ქალთან მეგობრულ ურთიერთობას იგი შემდგომში მეტად ტკბილად იხსენებდა.

საქართველოს უდიდესი სიყვარული გამოხატა მან თავისი მუსიკით. ავიღოთ თუნდაც მისი ძირითადი ნაწარმოები — ოპერა „თავადი იგორი“. აქ ხომ არიებშიც, საგუნდო მუსიკაშიც, ცეკვებშიც უხვად არის მკაფიოდ გამოხატული ქართული მოტივები. ამ აზრისაა მისი ყველა მუსიკალური კრიტიკოსი, ბიოგრაფი, პირადი მეგობარი...

რუსული მუსიკის ბუმბერაზი, როგორც უწოდებენ ალექსანდრე ბოროდინს, ძვირფასია მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურისათვის, მთელი მსოფლიო კულტურისათვის, მაგრამ იგი ერთიორად ძვირფასია, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ქართული მუსიკის, საერთოდ ქართული კულტურისათვის, ქართველი ხალხისათვის.

რამ დავიდოვი.



ა. ა. ბოროდინი



დედა — ა. ანშინა



ბაბა — მ. გვავდაროვი (გაგავდაროვი)



არ ვიცი, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათხსნილობა მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყობია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რაც შესაძლოა ვიყვნეთ კვლავაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაკლებითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერს დღევანდელი ბიზანტიის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიას. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი საკუთარი ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოკშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღეს და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმალემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მოქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომელსამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარნი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვგულისხმობთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღეს და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაც აქვთ ერისათვის. ერი თავის გამირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს, ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თავყვანსაცემს სასოებით და მაღლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, — ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცება. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვა-

ლების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და აღიძებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართალად აღიძებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. ახორებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზე ვართ, — ეს იქნება იმის ღვაწლი, იმის სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!...

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან

ილია ზავაზავაძე

# დავით აღმაშენებელი

(დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისათვის — 26 იანვარისათვის)

კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოველდღე მძიმად მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თავყვანსმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაძლებლად არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-ლა დიდ-ბუნებოვანება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველბად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსაცემდა! ჩვენს პატივანებს თავი დავანებოთ და ვიმოწმებთ სხვა ერის მემკვიდრეობის იხილიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს: „დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯულო, დავითის ვარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგუმის ცემა და შებება“.

გარდა დიდი სწერის: „დავითს არავითარი სიძულელი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა. იგი ხშირად იბრძოდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

ეს კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომეხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა მამამადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მამამადიანები თვით დავით მეფისა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. მამამადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა სწერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსლიმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკაძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავისი შვილის დიმიტრითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩითში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად



აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატევენას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსაცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარი მუსულმანთანი“.

ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევადასილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სწეულთა, უღონოთა და საპყარათათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თვითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე — რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალწინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი, ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩავთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი, — ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორ დიდბუნებოვანმა კაცმა — წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.





„ესე არს განსასუენებელი ჩემი  
უკუნიტი უკუნისამდე: ესე მთნავს:  
აჲა დამემკვიდრო მე“.

ანა კალანდაძე

\* \* \*

ფეხი დამადგით,  
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,  
წყალობა ჰყავით...  
საქართველოს ყოველის მპყრობელმან  
ვისურვე, დავით...  
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი  
ყურძნის მტევნებით...  
— ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,  
მიუტევიები?  
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,


რაი გადარდებს?  
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან  
დარუბანდამდე“...  
თუ ეს მალალთა თავმდაბლობაა  
ოდით და ოდით?  
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,  
რალა ქნან ცოდვილთ  
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
ვერსით შპოველთა?  
— გულზე დამადგით, ფეხი დამადგით  
გულზე ყოველთა...








თეთრი  
მეფეები






საქართველო  
გზაობისთვის









# მძიმე და ჭირვეული?...

## იოსებ ზუგუაძე

— თქვენზე ამბობენ, მძიმე და ჭირვეული ხასიათი აქვსო. თვითონ რას იტყობდი, როგორი ხასიათი გაქვთ?

— მძიმე და ჭირვეული...

ასეთი დიალოგით იწყება დოკუმენტური ფილმი მიხეილ თუმანიშვილზე.

— თქვენც ასე ფიქრობთ? — ვკითხვართხელ ზურაბ ყიფშიძეს.

— განა შეიძლება მიხეილ თუმანიშვილი სხვანაირი იყოს? — კითხვაზე კითხვით მომივლი მან.

მაინც რას გულისხმობენ ამ მძიმესა და ჭირვეულ ხასიათში? ალბათ, მის ფანატიზმს, ხელოვნებისადმი თითქოსდა პირველყოფილ, დღეს იშვიათად ქცეულ დამოკიდებულებას, რაც ასე აშკარად მოჩანს რეჟისორის გულწრფელ „აღსარებაში“:

— მე არ შემძლია სიცოცხლე თეატრის გარეშე... თეატრი, ეს რაღაც უნიკალურია და განსაცვიფრებელი. მე მთელი არსებით მიყვარს თეატრი. მიყვარს ისევე, როგორც სიცოცხლე. მე ვიტანჯები უთეატროდ, როგორც ბავშვი უდედოდ. მე არ მინდა, ვიცხოვრო ფარდების, კულისების, ორკესტრის, დეკორაციების, მსახიობების, პიესების გარეშე. ამქვეყნად ყველაფერს მიჩვენია თეატრი — მშვენიერი, საყვარელი, საოცრებათა განუმეორებელი სამყარო.

ეს „აღსარება“ ამოღებულია მიხეილ თუმანიშვილის წიგნიდან „სანამ რეპეტიცია დაიწყება“. ამ წიგნში ასეთ სიტყვებსაც ამოიკითხავთ: „რამდენჯერ უმართებულო კრიტიკით ან მაყურებლის გულცივობით სულის სიღრმეში მძიმედ დაჭრილი გავდიოდი თეატრიდან და მძაგდა იგი“.

აქ პარადოქსის ძებნას ნუ დავიწყებთ: ამის თქმის უფლება სწორედ იმას აქვს, ვისაც უთეატროდ სიცოცხლე არ შეუძლია.

მიხეილ თუმანიშვილს შეუძლია თავის წიგნს ასე უწოდოს — „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ და იგი ასე დაამთავროს: „მე თეატრში მივდივარ. აბა სხვაგან სად უნდა მივდიოდე“.

მიხეილ თუმანიშვილი რთული პიროვნებაა.

და მართლაც: განა შეიძლება სხვანაირი იყოს?

იდეალურ თეატრს იგი ასე განმარტავს: „ნიჭიერი, ღრმად განათლებული ფანატიკოსების, თავიანთი მისიის მოტრფიალე ადამიანთა თანამეგობრობა“.

იდეალური ყოველთვის გულისხმობს რალაცას მიუღწევებს, მაგრამ ჩვენ ხომ დაახლოებით ასეთად გვეგულება მიხეილ თუმანიშვილის მიერ შექმნილი კინომსახიობთა თეატრი — დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი და სახელგანთქმული ახალგაზრდული დასი, რომელმაც დიდი წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

„საქვეყნოდ ცნობილი და სახელგანთქმული ახალგაზრდული დასი“ — დავწერე ეს სიტყვები და წარმოვიდგინე მი-

ხეილ თუმანიშვილის რეაქცია. გასტროლების მიმართ მას ხომ მეტად თავისებური დამოკიდებულება აქვს. უცხოურ წარმატებებში იგი ერთგვარ საშიშროებას ხედავს. მისგან ხშირად გაიგონებთ: „გასტროლები არღვევენ დასის შემოქმედებითი ცხოვრების რიტმს“. „მსახიობები თავიანთ „გენიოსობას“ იჭერებენ და ფუჭდებიან“. „თეატრი მუდამ უნდა ქმნიდეს, სპექტაკლები კი რკინიგზის სადგურებში არ იდგმება“. „თეატრი მშობლიური მაყურებლისათვის უნდა არსებობდეს“.

მიხეილ თუმანიშვილს მძიმე და ჭირვეული ხასიათი აქვს!

იგი ფანატიკოსია და მსახიობიც. სხვებისგანაც ამას მოითხოვს, თორემ, არა მგონია, მისი მსახიობები ასეთი განგაშის საფუძველს იძლეოდნენ.

„ჩემი მსახიობები მეუბნებიან, — ამბობს იგი, — გოგოლმა „მკვდარი სულები“ იტალიაში შექმნა. რუსულ ლიტერატურას ამით არაფერი დაკლებიაო. მე ვეკითხები მათ. გოგოლმა „მკვდარი სულები“ იტალიაში კი შექმნა, მაგრამ რუსეთში ჩამოიტანა. ჩვენ რას შევქმნით საზღვარგარეთ და რას ჩამოვიტანთ სამშობლოში? ჩემი ოჯახის წევრები მიმტკიცებენ: მხატვარმა უნდა ნახოს შედეგები, რომლებიც ლუვრში ინახება. კი, ბატონო, უნდა ნახოს, მაგრამ მხატვარმა ყოველდღე უნდა ხატოს კიდევ“.

რას იზამ — ეს მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი მრწამსია, მისი ცხოვრებისეული კრედიტია.

ხელოვნებაში ყველაფერი ჭეშმარიტი მხოლოდ ასეთი ფანატიზმით იქმნება.

მიხეილ თუმანიშვილს ისიც არ უყვარს, მის მსახიობებს კინოში რომ იღებენ. მისთვის ესეც შემოქმედებითი რიტმიდან ამოვარდნას, მაშასადამე, „თეატრის ლალატს“ ნიშნავს. ამგვარ „ლალატს“ კი მისი მსახიობები ხშირად ჩადიან და ამით ბევრს იგებს ქართული კინო.

„სანახაობით გავგამდიდროს, ურთიერთზეგავლენით ერთმანეთში რაიმე შეგვაკვლევინოს“, — ასე განსაზღვრავს მიხეილ თუმანიშვილი თეატრის მიზანს.

და რა ჩინებულად აღასრულებენ ამ მიზანს კინომსახიობთა თეატრის საუკეთესო სპექტაკლები — „დონ ჟუანი“, „ბაკულას ღორები“, „ჩვენი პატარა ქალაქი“...

მიხეილ თუმანიშვილს თავისებურად ესმის ნამდვილი მაყურებლის ცნებაც. ერთგან იგი წერს: „ვიმარში დავესწარი ასათვისებლად მეტად ძნელი პიესის — „ფალსტის“ მეორე ნაწილს. მაყურებელს სპექტაკლის ყურებისა და მოსმენის გასაოცარი უნარი აღმოაჩნდა. მთელი სპექტაკლის განმავლობაში (ოთხი საათი უანტრატოდ) თეატრი და მაყურებელი ერთიან ორგანიზმს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, სპექტაკლის შემდეგ მადლიერი მაყურებელი ისე, რომ სავარძლიდან არ წამომდგარა, ნახევარი საათის განმავლო-

ბაში უკრავდა ტაშს მსახიობებს, რომლებიც მართლა იყვნენ პატივისცემის ღირსნი. აი, ნამდვილი მაყურებელი!“

არა მგონია, თვითონ ამ მხრივ რაიმე ჰქონდეს საწუწუნო: იშვიათია, ისეთი ერთგული და ინტელიგენტი მაყურებელი, კინომსახიობთა თეატრს რომ ჰყავს.

მეტად რთული იყო ხელოვნებაში მიხეილ თუმანიშვილის გზა. ამაზე შესანიშნავად გვიამბობს მისი წიგნი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“. ამ გზაზე იყო ძიებები და გამარჯვებები. იყო წინააღმდეგობანი და წარუმატებლობანი. იყო დაუმახსურებელი ტკივილებიც... თვით მისი უახლოესი მოწაფეების მხრიდანაც („თუმცა მსახიობები ხშირად მაყენებენ ტკივილს, მაგრამ ბავშვები, ჩვენი საყვარელი ბავშვები, განა ტკივილს არ გვაყენებენ?“).

სხვაგვარად და ადვილად, ალბათ არც შეიძლებოდა იმ მისიის აღსრულება, ვერაიკო ანჯაფარიძემ სიცოცხლის ბოლო წლებში ასე რომ შეაფასა: „მიხეილ თუმანიშვილმა თავის დროზე დიამეტრალურად შეცვალა რუსთაველის თეატრის გეზი“.

ასეთი მისია მხოლოდ რჩეულთა, ჭეშმარიტ ნოვატორთა ხვედრია.

...იგი დღეს საყოველთაო სიყვარულსა და აღიარებას იმკის. მისი სპექტაკლები დღეს უმადლეს ოფიციალურ ჟილოვებსაც იმსახურებენ — „ჩვენი პატარა ქალაქის“ დამდგმელს სულ ახლახან სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია ერგო.

მიხეილ თუმანიშვილი ყოველგვარ პატივს „მალატოთა თავმდაბლობით“ ხვდება, ვისი ფიქრით მხოლოდ საყვარელ საქმეს დასტრიალებს. ალბათ, ამით აიხსნება ერთი უცნაური ფენომენი: იყო ესოდენ ცნობილი, მაგრამ არ იყო პოპულარული.

ასეთ „მალატოთა თავმდაბლობით“ იღვა ამას წინათ ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზეც, ვერდის „ბალ-მასკარადის“ პრემიერის შემდეგ, მაყურებლის დაყინებულ მოთხოვნით გამოსული. იღვა ისე, თითქოს ამ მართლაც ბრწყინვალე სპექტაკლის წარმატებაში „ლომის წილი“ არ ჰქონოდა...

„მიხეილ თუმანიშვილმა საკუთარი თავი მაპოვნინა“, — ამბობს ნინელი ჭანკვეტაძე. „მიხეილ თუმანიშვილი რომ არა, არ მეცოდინებოდა, რა არის თეატრი, ჩემი პროფესია. მე ვთვლი, რომ რეჟისორი იგია, ყველა დანარჩენი კი მისი მოწაფეები ვართ“, — თქვა ამას წინათ კინოს სახლში გამართულ შეხვედრაზე რობერტ სტურუამ.

ამით, ალბათ, ყველაფერია თქმული.

— „თქვენზე ამბობენ, მძიმე და ჭირვეული ხასიათი აქვსო. თვითონ რას იტყობდი, — როგორი ხასიათი გაქვთ?“

— მძიმე და ჭირვეული“.

აქ, უწინარეს ყოვლისა, ალბათ, ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავად თეატრის ცხოვრება, მასზე ფანატიკურად შეყვარებული კაცის ბედია მძიმე და ჭირვეული.





ქართული ჟურნალი ისრაელიდან

ჟურნალს, რომლის ერთ-ერთი ნომრის გარეკანს ამ ფოტოზე ხედავთ, „დროშა“ ეწოდება.

მაღალმხატვრულად ფორმდება. ხანტერესოდ იკითხება მასალები საქართველოდან ისრაელში წასულთა ცხოვრებაზე.

ჟურნალი 1980 წლიდან გამოდის. სცემენ მას ჩვენი თანამემამულენი, ქართველი ებრაელები, წლების მანძილზე ჩვენი ქირისა და ღვინის მოზარენი.

ისინი ახლა ისრაელში ცხოვრობენ, მაგრამ საქართველო გულიდან არ ამოუღებთ. ამის უტყუარი მაგალითია თუნდაც აი ეს ნომერი, რომელიც ამას წინათ მოვიდა ჩვენს რედაქციაში.

ჟურნალის ეს ნომერიც მრავალფეროვანია. უველანაირი მკითხველი ნახავს აქ თავის წახაკითხს. „საქართველოს ამბები“, როგორც წესი, წინა პლანზეა წამოწეული და გულის სითბო არ აკლია.

მრავალმხრივ საყურადღებოა ინტერვიუ ჩვენს ცნობილ კინორეჟისორ გიორგი დანელიასთან. მასში აღძრული პრობლემები არ შეიძლება არ აწუხებდეს ქართველ კაცს.

თბილისი წერილია დაბეჭდილი საქართველოს ხალხური ცეკვების სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლზე. აბრამ ბინაშვილი მოგვითხრობს ებრაელების ბორჯომში დასახლებაზე.

კი აღწერილია ჰუმანიტარული მოყვრის თვალთ დასახული ცხოვრება.

არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო კაცმა ისოლდა კრიხელის, ქეთი ბიბილეიშვილის, ეთერ ფიჩხაძის ლექსები და მოთხრობები.

ერთი სიტყვით, ჟურნალში აშკარად იგრძნობა ის სითბო და სიყვარული, საქართველოდან რომ წაპყვით ისრაელში წასულ ჩვენს თანამემამულეებს.

ულრესად კაცმოყვარე და გულისხმიერ, შრომისმოყვარე და კეთილშობილ ბიროვნებას, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი მეცნიერების საუკეთესო მკოდნეს, საქართველოში კონიაკის და ლიქიორის წარმოების ფუძემდებელს და ერთ ზაქარიას ძე სარაჯიშვილს მისი თანამედროვენი ქველმოქმედსაც უწოდებენ.

„ყველგან და ყველადღერში უნდა იყვე პატიოსანი ადამიანი, ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი“, — ასე სწამდა თავად ბატონ დავითს — მეტად შეძლებულ კაპიტალისტსა და კომერსანტს, რომლის ხელშიც ქონება, პირველ ყოვლისა, სამშობლოს აღდგენის, ერის აღორძინებისა და ეკონომიკური გაძლიერების წყაროდ დიოდა.

„ეს კაცი იყო ქვეყნის სიყვარულით განათლებული! გაჭირვებულს, დაბეჩავებულს ქვეყანას ემსახურა, მანამ შეეძლო“. ამ დღეებში კი დაბადების 140 წელი შეუსრულდა, ამ თარიღმა გვაფიქრებინა საამაყო მამულიშვილის ცხოვრებაში მცირე წილსვლა. ჩვენი ყურნალის ფურცლებზე იმ მადლისა და სიკეთის წარმოჩენა, სანთელ-საქმეველივით გზა რომ არ დაუკარგავს და კეთილი ნერგიც გამოუღია.

თავისი სამეურნეო საქმიანობის კარიბჭეს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი საფუძვლიანი ცოდნით მიაღდა — თბილისის გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის, ჰოპენჰაიმისა და ჰალეს უნივერსიტეტები...

საფრანგეთში გატარებული წლები მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკულ-თეორიული საფუძვლების შესასწავლად, ღრმა ცოდნა პოლიტიკურ-ეკონომიკისა და ბუნებისმეტყველებაში.

1885 წელს ჯერ კავკასიაში, ხოლო შემდეგ თბილისში დავით სარაჯიშვილი ხსნის არაუცის რექტიფიკაციის ქარხნებს, ამას 1887 წელს მოჰყვა ასეთივე ქარხანა ერევანში და ლიქიორის სპეციალური ქარხანა თბილისში. დავითს კვალში ჩაუდგინეს სხვა თბილისელი მრეწველებიც. მალე კაპიტალისტურმა კონკურენციამ იჩინა თავი. მრავალი მრეწველი დაზარალდა, დავითს კი გაუმართლა — კონკურენციას გაუძლო და საქართველოში მოქმედ საწარმოთაგან ყველაზე ძლიერის რეპუტაცია მოიპოვა. სარაჯიშვილმა თავისი ქარხნები ტექნიკურად უკეთ აღჭურვა, დაამონტაჟა ორთქლის ქვაბები, საფილტრაციო ტიპის აპარატები, გაზხარდა მუშათა რაოდენობა. გახსნა სპირტის შესანახი საწყობები, მაღაზიები, საღებავლო სახელოსნოები, მოიწვია სპეციალისტები.

სპირტის წარმოებამ, რომლის პროცესიც თითქმის მთლიანად ავტომატიზებული იყო, უმაღლეს დონეს მიაღწია. გამოშვებული პროდუქციის 80 პროცენტი საუკეთესო ხარისხის სპირტი იყო და დიდი მოწონებით სარგებლობდა ამიერკავკასიაში, რუსეთის იმპერიაში, მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, ვარშავაში, ხარკოვში, კიევიში, ოდესაში.

ასეთი იღბლიანი აღმოჩნდა პირველი ნაბიჯები!

შემდეგ კი 1888 წელს რუსეთის იმპერიაში პირველი კონიაკის სპეციალური სამრეწველო ქარხანაც დავით სარაჯიშვილის თაოსნობით ამოქმედდა თბილისში.

სარაჯიშვილისეულმა სასმელებმა მძაფრი კონკურენცია გაუწია რუსეთში გაბატონებულ იმპორტულ ნაწარმს, გააღწია საზოგადოებრივ და საერთაშორისო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდოები მკონიაკის მისი ფირმის პროდუქცია იმპერატორს, ლონდონში, ბერლინში, პარიზში, ვენაში, ქენევაში, კონსტანტინოპოლში, თავრიზში.

დაფასებამ და კეთილდღეობამაც არ დააყოვნა. 1902 წელს დავით სარაჯიშვილს „კომერციის მრჩეველის“ წოდება, ხოლო ცოტა მოგვიანებით მის ფირმას ოფიციალური სახელწოდება — „Поставщик двора Его императорского величества“ მიენიჭა. ამიერკავკასიის უმდიდრესი პიროვნება იყო ბატონი დავითი.

„ამ უკანასკნელი ოცდაათის წლის განმავლობაში, — წერდა 1911 წ. 25 ივნისს „სახალხო გაზეთი“, — არ აღძრულა არც ერთი კეთილი საქმე, არ შექმნილა არც ერთი საზოგადო, საერო დაწესებულება, რომლისთვისაც დავით სარაჯიშვილს თავისი შველა არ გაეწიოს“. იგი მილიონებს ფლობდა, წერდა იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ ამ მილიონებს თავისთვის კი არ ხარჯავდა, არამედ ქვეყანას ახმარდა. მართლაც, დავით სარაჯიშვილი დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ღირსეულად ეწეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე, მაგრამ საპატიო ჯაბანს. ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან, და სხვებთან ერთად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, სათავადაზნაურო ბანკის, „ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტის“, „სამუსიკო სასწავლებლის“, გაზეთების, ჟურნალების, წიგნების გამოცემის საქმეში. უხვად აფინანსებდა ხელმოკლე მეცნიერთ, ხელოვანთ და საზოგადო მოღვაწეებს. შეფობდა ეკლესიების და სკოლების კეთილმოწყობას, თვითონაც საკუთარი სახსრებით ხსნიდა სკოლებს და ბიბლიოთეკებს. აფინანსებდა ღარიბთა შემწე საქველმოქმედო საზოგადოებებს და პირადადაც მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ-ღატაკთ.

დიდია დავით სარაჯიშვილის წვლილი თბილისის უნივერსიტეტის აშენების საქმეში. ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის თაოსნობითა და დავით სარაჯიშვილის ყველაზე გულუხვი მატერიალური დახმარებით 1906 წელს აიგო ქართული გიმნაზიის შენობა, სადაც 1918 წელს გაიხსნა უნივერსიტეტი. „ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორსართულიანი შენობა, მერე ნ. ცხვედაძეს მადა გაეხსნა და ორი სართული ოთხად გადააქცია, — იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი, — ახლა წვრილ-წვრილად მოგროვებული შემოწირულებანი ხარჯებს ველარ ჰვარავნა, უნდა სხვა გზას დასდგომოდა და ამ გზამ ნიკო მიიყვანა დავით სარაჯიშვილთან. სარაჯიშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უხვად გაშალა ხელი და არას ზოგავდა ამ საქმისათვის“.

როცა 1904 წელს დღის წესრიგში დადგა ქაშვეთის დეფორმირებული ეკლესიის აღება, ახალაგებული ისტორიული ძეგლის ასაშენებელი მთელი თანხა სარაჯიშვილმა გაიღო.

დავით სარაჯიშვილმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენს დიდ კულტურას გასცნობოდნენ რუსეთის იმპერიასა და მის ფარგლებს გარეთაც. ამ საქმეში იგი ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა. გულმოწყალებდ აფინანსებდა „საქართველო“.

დავით სარაჯიშვილმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენს დიდ კულტურას გასცნობოდნენ რუსეთის იმპერიასა და მის ფარგლებს გარეთაც. ამ საქმეში იგი ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა. გულმოწყალებდ აფინანსებდა „საქართველო“.





ლოს საღამოების“ მომწყობ სტუდენტურ კომიტეტებს პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში თუ რუსეთის სხვა ქალაქებში. სარაჯიშვილი ბინაზე იწვევდა ბევრ უცხოელ სტუმარს. აცნობდა მათ ქართულ კულტურას და ეხმარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამოგზაუროდ.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის შვილი არ ჰყავდა. უძეოდ დარჩენილი ოჯახის თავკაცი ასე განსჯიდა: „რას მიქვია უშვილობა, განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსაწვრთნელი ჩემი შვილები არ არიანო“. ეს ნათქვამი ლიტონ სიტყვებზე რომ არ რჩებოდა, ამას მისი ცხოვრების ყოველი სისხამდღე მეტყველებს. მან თავისივე ინიციატივით დაარსა სპეციალური კომიტეტი ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით. ეს კომიტეტი ავლენდა ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდობას და მათ ყოველმხრივ უმართავდა ხელს რუსეთსა თუ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად.

სარაჯიშვილის სტიპენდიანტები იყვნენ ჩვენი ერის საამაყო შვილები: კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, იაკარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მხატვრები მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, პროფესორები — ფილიპე გოგიჩაიშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, საქართველოს კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სხვა.

დავით სარაჯიშვილი ცდილობდა, კულტურული, განათლებული მუშები ჰყოლოდა. აარსებდა მათთვის საკვირაო სკოლებს. „თვალყურს ვადევნებდი, — იგონებს სახალხო მასწავლებელი ლ. ბოცვაძე, — როგორი სიხარულით ეგებებოდა განსვენებული, როცა მუშები სწავლაში წარმატებას იჩენდნენ, წერა-კითხვის და ანგარიშის მცოდნე მუშას ჯამაგირსაც უმატებდა და ამით აქეზებდა ყველას, რომ წიგნი ესწავლათ. უყვიდა მუშებს საუკეთესო ჯადო ფარანი ბუნდოვანი სურათებისთვის სახალხო კითხვის გასამართავად და იქვე დაუარსა მათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქართული წიგნებისა“.

ფრიად განსწავლული, ერუდირებული ინტელიგენტი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში. „იგი იმდენად პატივცემული იყო ყველა წრეში, — იგონებს ალ. ხახანაშვილი, — მდიდართა თუ ღარიბთა შორის, როგორც ილია ჭავჭავაძე“.

დავით სარაჯიშვილის სახლი ქართველთა საზოგადო ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. აქ თავს იყრიდნენ ერის ღირსეული შვილები, მწერლები, პოეტები; მუსიკოსები, მხატვრები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია, გრ. ყიფშიძე, ივ. მაჩაბელი, გ. გაბაშვილი, ა. ცაგარელი, ნ. ცხვედაძე, ი. მანსვეტაშვილი, ი. ნიკოლაძე, ნ. გაბუნია, რ. ერისთავი და სხვები. სარაჯიშვილის ბინა წარმოადგენდა ერთგვარ ლიტერატურულ სალონს, სადაც ხდებოდა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების წაკითხვა. იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. 1882 წლის მიწურულს ილიას აქ პირველად წაუკითხავს „განდევნილი“, რასაც დიდი მოწონება დაუმსახურებია. სწორედ აქ ურჩევია ილიასთვის

იონა მეუნარგიას განდევნილის სურათის. მისი გარეგნობის აღწერის გამოკვეთა. ძნელია, წარმოვიდგინოთ პოემა „განდევნილი“, რომელშიც არ იქნება ის გამოკვეთილი სურათი განდევნილისა... მითითების შემდეგ რომ გამოაქანდაკა.

დავითის ბინაში წაიკითხა ილიამ პირველად თავისი „ოთარაანთ ქვირილი“.

სარაჯიშვილისეული სახლი არ წარმოადგენდა მარტო ლიტერატურულ სალონს. აქ ხშირად იმართებოდა პოლემიკები ამა თუ იმ თემაზე, წყდებოდა ბევრი საჭირობო პრობლემა. სწორედ სარაჯიშვილის სახლში აღძრა ნიკო ცხვედაძემ საკითხი ქართველ თავადაზნაურთა სკოლებისათვის შენობის აგების შესახებ. „ვინ იცის, დათიკო, იქნებ მოვიდეს დრო და აქ ქართულ უნივერსიტეტს მოხმარდეს ეს შენობაო“. გადმოცემით დავითს ამ გიმნაზიის ასაშენებლად პირველად 60 ათასი მანეთი შეუტანია, თან ასე უთქვამს ნ. ცხვედაძისთვის: „აჰა, ჯერ ეს იქმარე, ოლონდ ნურსად გამოიმამყლავნებ. დაიწყე საქმე და რამდენიც დაგჭირდება, მე აქა ვარო“.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს ერთი დღეც არ უცხოვრია მამულზე ფიქრის თუ ზრუნვის გარეშე. საქართველოსთვის იღვწოდა და საქართველოს სამსახურშივე ჩაიფერებოდა. გარდაიცვალა და სამშობლოსადმი სიყვარული, ეროვნული კულტურისადმი ზრუნვა ანდერძშიაც გამოხატა, რომლის ძალითაც მთელი თავისი ქონება საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ეროვნულ დაწესებულებებს დაუტოვა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა 300 ათასი მანეთი (აქედან 150 ათასი მანეთი უნდა მოხმარებოდა ეროვნული მუზეუმის აშენება-მოწყობას, მეორე ნახევარი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სტიპენდიებისათვის იმ საუკეთესო ქართველი მოსწავლე სტუდენტების უზრუნველსაყოფად, რომლებიც სწავლობდნენ და მომავალშიც ისწავლიდნენ რუსეთის და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში). ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას უანდერძა 250 ათასი მანეთი, სერგეევის ქუჩაზე მდებარე მის სახლში უნდა გახსნილიყო ან სამხატვრო გალერეა, ან შინამრწველობის მუზეუმი, ან ხელოვნების მუზეუმი. ამ მიზნით გაღებული იყო ნახევარი მილიონი მანეთი. ანდერძი კიდევ ბევრ საქველმოქმედო საქმეს ითვალისწინებდა.


„ყველგან და ყველაფერში უნდა იყვე პატიოსანი ადამიანი, ეს უფრო მეტია, ვიდრე იყო მილიონების პატრონი“, ხშირად ამბობდა ბატონი დავითი და სწორედ ეს იყო მისი ცხოვრების არსი. ამიტომაც, მან „თავის ქონებას, ფულს, კეთილი გული და მშვენიერი სული დაუყენა წინამძღვრად და მოურავად და ამით უკვდავების ძეგლი დაიდგა ყველა ქართველის გულში, რადგანაც ბარათაშვილის არ იყოს, თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“.

აი, სწორედ ეს მშვენიერი სული იყო მიზეზი, რომ მისი სკანდინავიის ამბავი მთელ საქართველოსა და კავკასიაში სამგლოვიარო ზარად გაისმა და ყველას გული მწუხარებით აღავსო და გამსჭვალა.

**ვარლამ გოგუშაძე,**  
თსუ ქართული კულტურის ისტორიის  
კათედრის ასპირანტი

# საქართველოს ხალხური მუსიკის საზოგადოებრივი საზრუნავი





Lith. W. Thiel & Co. Odessa.

# გურიე და საქართველო

საქართველოს მშვენიერ მიწა-წყალს არაერთი უცხოელი მოუზიდავს. ზოგი მტრობით მოდიოდა, ზოგი მოყვრობით, ქართველმა კი მტრის დახვედრაც იცოდა საკადრისად და მოკეთისაც. ბევრისთვის იგი ოცნების ქვეყნად და მეორე სამშობლოდაც ქცეულა.

ბევრისთვის კი უბრალოდ მშვენიერ ეგზოტიკურ კუთხედ დარჩენილა, ტკბილ მოგონებად, საინტერესო თავგადასავლების მხარედ.

განსაკუთრებული იყო ცნობილი ფრანგი ფილოლოგისა და საზოგადო მოღვაწის „კოკაზ ილუსტრეს“ რედაქტორის ეიულ მურიეს დაინტერესება საქართველოთი. ცნობისწადილმა მოიყვანა იგი ჩვენში და მთელი სიცოცხლე ამ პატარა ქვეყნის მოყვარულ მეგობრად დარჩა.

გაზეთები „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „შრომა“ ქართველ მკითხველს სისტემატურად აწვდიდა ცნობებს მურიეს და მისი ნაშრომების შესახებ. ქართველ კაცს შორეული საფრანგეთიდან თბილისს ჩამოსული უცხო ადამიანი ყოველთვის პატივსაცემ სტუმრად მიიჩნდა და სავსებით სამართლიანადაც. იგი ხომ თავდადებულად ემსახურებოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეს შორეულ საფრანგეთში. „იმისგან შეკრებილი მასალა კაცს გააკვირვებს იმდენია და მასთანვე საუცხოვო. უმთავრესად საქართველოს და სომხეთის საისტორიო და საარქეოლოგიო

ნაშთები. მონასტრების ზღუდეთაგან გადმოღებული მხატვრობა, თვითონ მონასტრების არხიტექტურა, ძეგლისა და აწინდელის ხელ-საქმობის, ოქრომუკდლობის ნიმუშები, საშინაო და სამრეწველო იარაღები, ნათხარი ნივთები, ერთის სიტყვით, ყოველიფერი, რაც კი როგორმე მხატვრულ ძველსა და ახალს ცხოვრებას ერისას, ვამბობთ, ყველაფერია“, — წერდა გაზეთი „ივერია“ 1888 წელს.

ბევრი რამ დაუწერია მურიეს საქართველოს შესახებ, მაგრამ მათ შორის საყურადღებოა მისი წიგნი „სამეგრელო“ (ძველი კოლხიდა), რომელიც 1883 წელს ოდესაში გამოვიდა ფრანგულ ენაზე. ნაშრომი 435-გვერდიანია, დართული აქვს ავტორის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა და უხვად არის ილუსტრირებული. წიგნში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა სამეგრელოს ისტორია, გეოგრაფია, გეოლოგია და მინეროლოგია, ფლორა, ფაუნა, ჰიგიენა, ეთნოგრაფია, ლიტერატურა, განათლება, მუსიკა, მმართველობა, სამართალი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, არქეოლოგია, ეკონომიკისა და მონასტრების მხატვრობა, არქიტექტურა. პირდაპირ გვაოცებს ამ ადამიანის ენთუზიაზმი, სურვილი, რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს საქართველოს ცხოვრების ყველა მხარეს. წიგნის შესავალი ნათელს ხდის ავტორის მიზანს. მას სურს, წიგნმა დააინტერესოს მკითხველი და აღუძრას ამ მშვენიერი კუთხის — სა-

მეგრელოს ნახვის ინტერესი. სამეგრელო, მურიეს აზრით, ნაკლებად ცნობილი და ამავე დროს ერთ-ერთი საინტერესო კუთხეა დედამიწის ზურგზე. იგი დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებს სამეგრელოს მთავრის ოჯახს და იონა მეუნარგიას, რომელმაც მას მიაწოდა მნიშვნელოვანი ცნობები, ახსნა-განმარტებები თავისი წიგნის დასაწერად. იგი მას თითქმის თანავეტორად თვლის.

ქართველებს მურიე მცირერიცხოვან და მებრძოლ ხალხს უწოდებს, საქართველოს მატთანეს კი, მისი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველებისთვის, არამედ სომხეთის, სპარსეთისა და თურქეთის ისტორიისთვისაც. მეგრელები, ამ მატთანის მიხედვით, თარგამოსის მერვე შვილის, ეგროსის შთამომავლები არიან. მურიე ვრცლად მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას, რომელსაც ურთავს ქუთაისის ტაძრის ნანგრევების, გელათის მონასტრის, დადიანის სასახლის ილუსტრაციებს, თამარის ფრესკის ანაბეჭდს ბეთანიის ეკლესიიდან. ავტორი აშუქებს თამარის მეფობის წლებს, აღნიშნავს, რომ მის სახელთანაა დაკავშირებული მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეების, ტაძრების მშენებლობა, ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარება. წიგნში მოხსენიებულია ძველი საქართველოს მრავალი დიდი მოღვაწე, მათ შორის რუსთაველი, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შავთ-



ლი, ჩახრუხადე, რომელთა თხზულებებმაც გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა.

საკმაო ხანს უცხოვრია მურიეს სამეგრელოში, საშუალება ჰქონია, დაჰკვირვებოდა ხალხის ცხოვრებას, შეესწავლა იგი. ამიტომ დიდი ინტერესით დასაქმის ცოდნით ლაპარაკობს ამ კუთხის ჯერ კიდევ შეუსწავლელ მინერალურ სიმდიდრეზე თუ ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე.

საინტერესოდ და დაწვრილებით მოგვითხრობს იგი სამეგრელოს ფაუნაზე.

მურიე აღნიშნავს, რომ სამეგრელო ნაყოფიერი ქვეყანაა, აქ მცენარე გასაოცარი სისწრაფით იზრდება. პირველ წელს აღმონაცენი გასაკაფია, ხუთ წელიწადში კი ტყედ იქცევა. გოლიათი ხეები, კენწეროებს შემოხვეული ხეიარებით აცვიფრებენ მნახველთ. ტყე აჯანსაღებს ჰაერს, აკავებს ქარს, იცავს ხეობებს სიცივისაგან, ნიადაგს კი გამოშრობისაგან. ტყის წყალობით წყაროში წყალი არ შრება. ტყე ფარავს სამეგრელოს ტერიტორიის სამ მეთხედს. დაჭაობებული ადგილები და ტყე ბევრია, დასამუშავებლად ვარგისი ფართობი კი ნაკლები. ტყის უგუფურად გაჩეხვას სავალალო შედეგი მოსდევს, გამდნარ თოვლს, გაზაფხულის წვიმას წინააღმდეგობა აღარ ხვდება მთის ფერდობზე და წყალი სწრაფად მიედინება ბარისაკენ. ტყეს, კორდს კი შეეძლო ნიაღვრის შეკავება, მისი განაწილება, ტყის წყალობით შემკირდებოდა წყლის დინების ძალა და ჯანმრთელობისთვის საშიში ჭაობების რიცხვიც. მურიეს აზრით, ტყის გაჩეხვა ასე ბარბაროსულად არ უნდა ხდებოდეს. ტყე უნდა გაშენდეს ციკაბო ფერდობებზე, ყველგან, სადაც ძნელია მიწის დამუშავება. ტყის გაჩეხვაზე, ამ სარფიან შემოსავალზე მხოლოდ რჩევა-დარიგებებით ვერ ათქმევინებ გლეხს უარს, ამ შემთხვევაში მთავრობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას, ტყის მფლობელთა ნდობა მოიპოვოს, ავანსთაც დაეხმაროს, როგორც ეს მრეწველობაში ხდება, მიაწოდოს მარცვლოული, თესლი, ნერგე. აღნიშნულ საქმიან წინადადებებს მოსდევს მურიეს მიერ სამეგრელოს საუკეთესო ტყეების თეკლათის, ქალადიდის, საირემოს, ჭუბურხინჯის ტყეთა აღწერა.

ინფექციური დაავადებები მუსრს ავლებენ სამეგრელოს მოსახლეობას. აცრას იშვიათად აკეთებენ. აუცილებელი საჭიროების დროს მთავრობა სპეციალურად აგზავნის რუს ექიმებს სხვადასხვა მაზრებში. მაღარიით დაავადებული მეგრელები სვამენ ქინაქინას, უმეტესად კი წიფლის, მუხის და ტირიფის ქერქის ნაყენს. რადგან სამეგრელოში ექიმი იშვიათია, აქაური მცხოვრებლები მკურნალობის შინაურ საშუალებებს მიმართავენ. ასე მავალითად, მორიელის ნაკბენზე იფენენ ალუბლის დანაყულ ფოთლებს, გველის ნაკბენზე კი იღებენ ინდურ ფარმაცევტიკაში ცნობილ ხამანწკას, რომელიც ისრუტავს შხამს, აქრობს ანთებით პროცესს და რამდენიმე წუთში მწვანდება, შემდეგ მას ჩააგდებენ რძეში, რომელშიც ამოანთხევს შხამს და აღიდგენს თავდაპირველ მონაცრისფრო ფერს...

გარეგნულად ლამაზი, თხელი, პროპორციული მეგრელი მამაკაცები, მართალია, კბილებამდე შეიარაღებულნი დადიან, მაგრამ ბუნებით მშვიდობისმოყვარულნი არიან, იარაღს მხოლოდ თავდაცვისთვის იყენებენ, სიფხიზლე მათი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, დათრობა არ უყვართ,

დვინოც იშვიათად მოაქვთ მაგიდაზე. მეგრელი ქალი, ქერა თუ შავგვრემანი, თითქმის ყველა ლამაზია. მურიე განიხილავს ლეიბნიცის, ბროსეს, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის მ. ცაგარელის შრომებს, რომლებიც ქართული ენის წარმომავლობას შეეხება. მურიეს უთარგმნია ფრანგულად მის მიერ ჩაწერილი მეგრული ზღაპრები: ქურდი ძმები, ღარიბი კაცის ზღაპარი, ზღაპარი სანართიაზე. მურიეს ხიბლავს მეგრული სიმღერა, რომელსაც მეღანქოლიური იერი დაჰკრავს...


მურიე აგრეთვე საუბრობს გლეხობაზე და წერს:

საუკუნეთა განმავლობაში საცოდავ გლეხობას ერთი ტკბილი დღეც არ უნახავს, გლეხი ინახავდა ბატონის ოჯახს, საკუთარ ოჯახს, ბატონზე იყო დამოკიდებული მისი ქონებაც და არსებობაც. მისი შრომის ნაყოფი ბატონის ბელელში გადადიოდა. „ფეოდალობის ყველა საზიზღარი ფორმა განხორციელებული იყო ამ მშვენიერ ქვეყანაში, რომელიც თუმცა ბუნებისგან უხვად იყო დაჯილდოებული, გარნა მთელს ქვეყნიერებაზე იმაზე ღარიბი მხარე არ მოიძებნება“. ბატონყმობის გადავლებამ ყმებს, მართალია, ზნეობრივი დამოუკიდებლობა და პირადი თავისუფლებაც მიანიჭა, მაგრამ ჩამოაცილა იმ მიწებს, რომელსაც ხნავდნენ, ამუშავებდნენ, ამიტომ მურიე მათ სანახევროდ განთავისუფლებულებს უწოდებს.

სამეგრელოში, მურიეს ცნობით, ექსპორტი ვაცილებით სჭარბობს იმპორტს. საზღვარგარეთ გააქვთ აბრეშუმი, სელი, დაფნის ფოთოლი, კაკალი, ხე-ტყე, ცვილი, სიმინდი, ბზა. სიმინდის გატანა ხდება შავი ზღვით კონსტანტინოპოლში, რუსეთსა და საფრანგეთში. ბზას კარგი ფასი აქვს მანჩესტერსა და მარსელში. ზუგდიდსა და ორპირში ამოხვეული აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა საფრანგეთში, კერძოდ, მარსელში. ზუგდიდის ქარხანა 1848 წელს გახსნა დავით დადიანის მიერ საფრანგეთიდან სპეციალურად მოწვეულმა გრაფმა როზმურდუქმა. გრაფის მიერ ჩამოყვანილმა ორმა ფრანგმა ქალმა მარიმ და სუზეტამ ასწავლეს მეგრულ ქალებს აბრეშუმის ამოხვევა.

გორდში მურიე პირადად გასცნობია ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკას და უნახავს: ჰიმნების კრებული (ხუცური ხელნაწერი), არჩილიანი, ქილილა და დამანა, სულხან-საბას ლექსიკონი, თეიმურაზ პირველის ლექსები, ყარამანიანი (135-გვერდიანი ქართული ხელნაწერი), ამირან-დარეჯანიანი, ძილის-პირი (ჰიმნების კრებული), სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში (ხუცური ხელნაწერი), ბატონიშვილ მამუკა ბარათაშვილის პოეზია, 1833 წელს დავით დადიანის მიერ თარგმნილი მსოფლიო ისტორია, რაინდის სამსახეობა (იმერეთში ნაპოვნი უძველესი სამომქმედებიანი პიესა, გადაწერილი 1846 წელს უფლისწულ თეიმურაზის მიერ), წმინდა კირილე ალექსანდრიელის საუბრე, ლექსად დაწერილი როსტომიანი, სამოციქულო, სვინაქსარი ეტრატზე. ბიბლიოთეკის მარგალიტად მიიჩნევენ მურიე დედოფალ ეკატერინეს კუთვნილ სახარების მიკროსკოპიულ ხელნაწერს ეტრატზე, 190-ზე მეტი თავხატულობითა თუ პორტრეტით. მურიე ცალკე განიხილავს და აღწერს სერგიეთის, ეკის, ნოქალაქევის, მარტვილის, სუჭუნის, გორდის ეკლესიებსა და მონასტრებს.

გორდის წმინდა გიორგის სამლოცვე-



CLOCHER DE MARTVILI.

ლოში მურიე განუცვიფრებია ლანქერანის ღვთისმშობლის ხატს, რომელიც ბაგრატ მეოთხის საცოლეს, ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილს ელენეს ჩამოუტანია საქართველოში. ერთი მეტრის სიმაღლის ეს სამკარედი 300 ბატოსანი თვლით ყოფილა შემკული. ღვთისმშობლის თავზე ოქროსშარავანდელის სხივებში 329 მარგალიტი და 82 მსხვილი ბრილიანტი, ხოლო ხატის ქვედა, ოქროს ქათიბში 79 ლალი, 20 საფირონი, 9 ბრილიანტი და 93 ზურმუხტი კიაფობდა.

მურიეს ცნობით, 1860 წელს სამეგრელოში 469 მეღდლის ოჯახი ცხოვრობდა. მღვდლები აწარმოებდნენ ნათლობის, ქორწინების, გარდაცვალების ჩაწერას. რადგან მღვდლები მთავრობისგან არ ლებულობდნენ ჯამაგირს, მრევლის თითოეული გლეხი წელიწადში იხდიდა ერთ ან ორ მანეთს, ხოლო ქორწინების, ნათლობისა და ოჯახის წევრის გარდაცვალებისას გაიღებდა გარკვეულ თანხას. მურიეს წიგნში ჩართულია ნოქალაქევის ორმოცი წამებულის ეკლესიის ნახატი, შესრულებული სკალეზის მიერ, მარტვილის, ნოქალაქევის ეკლესიათა გეგმა (დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, მარტვილის სამრევლოსა და მარტვილის ჯვრის ნახატი (ბარონი სუტნერი).

„სამეგრელოს“ გარდა მურიეს დაწერილი აქვს არაერთი ნაშრომი, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ: მე-17 და მე-18 საუკუნის ქართული ზღაპრები, ვლადიკავ-

90781



1888 წლის 10 გიორგობის ცხენს (ქაჩატუქ ქსე სტილით 23 ნოემბერს) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ კავკასიაში გახსნა ქართული სკოლა, ერთკლასიანი უფასო სასწავლებელი. ამ საქმის უშუალო ინიციატორი გახდა ილია ჭავჭავაძის პროგრესული ჯგუფის აქტიური წევრი, „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამაარსებელი, ამავე საზოგადოების პირველი თავმჯდომარე, თერგის ოლქის გამმიჯნელო სამმართველოს უფროსი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (1833-1891). კავკასიაში საცხოვრებლად ჩასვლის პირველი დღიდან (1870 წ.) სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მან მრავალ კულტურულ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი თერგის ოლქში. პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ამასთან გახლდათ მახვილი პუბლიცისტი და მთარგმნელი, „საქართველოს მოამბის“ რედაქციის აქტიური წევრი. იგი ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს გაზეთ „დროების“ დაარსებაში, სისტემატურად თანამშრომლობს ილიას „ივერიაში“, აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის სახელთანა დაკავშირებული ლამაზი ქართული შრიფტის „ვენურის“ შექმნაც, აგრეთვე მათემატიკის სახელმძღვანელოსი, რომელზედაც თაობები აღიზარდნენ.

დიდი მამულიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე 1891 წლის „ივერიაში“ წერდა: „მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთა მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცოცხლად მის დაპყრობილს ადგილს... მან იგი სიკეთე შექმნა, რის შემძლებელიც იყო და ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ჭვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქმნებიან“.

1892 წლიდან კავკასიის სკოლის უფროს მასწავლებლად დაინიშნა ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე (1865-1919), რომელმაც 14 წელი (1906 წლამდე) იმუშავა იქამ ხნის განმავლობაში ეს ახალგახსნილი სკოლა მისი დაუღალავი შრომის წყალობით გადაიქცა დიდ კულტურულ დაწესებულებად. აიგო სპეციალური შენობა სკოლისათვის, გაიზარდა მოსწავლეთა რიცხვიც. 1896 წლისათვის ზემოხსენებული სკოლის ოთხ განყოფილებაში უკვე ასზე



ნანა ლეონიძე

VILLA MURAT A ZOUGDIDI.

კაზიდან თბილისამდე, არქეოლოგია კავკასიაში, თბილისის მუზეუმი, შუა საუკუნეების ქართული არმია, ბათუმის და ჭოროხის აუზი, შოთა რუსთაველი, XII საუკუნის ქართველი პოეტი, მეცნიერული მისიით კავკასიაში, საეკლესიო ხელოვნება კავკასიაში. აღნიშნული შრომები დასტურია მურიეს დიდი სიყვარულისა საქართველოს მიმართ. საქართველოში ჩამოსული მურიე თითქოს ქართველთა ცხოვრებით ცხოვრობს, თხოულობს და იღებს რუსულ-ფრანგული ჟურნალის „კავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობის მიმოხილვის“ ზეპრდვის ნებართვას, აღელვებს ბეთანიის ეკლესიის ნგრევა და „დროების“ ფურცლებზე წერს მისი დაცვის აუცილებლობაზე, თბილისის მოურავს ევანგელოვს ჟღავნის წერილს და თხოვს, თბილისის ქუჩებს უწოდონ ბროსეს და დიუბუა დე მონპერეს სახელი, 1880 წელს ფრანგულად თარგმნის პეტერბურგში 1805 წელს გამოცემულ სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას“, შემდგომ ილია ჭავჭავაძის ცნობილ პოემა „განდვილს“, 1884 წლის 28 ნოემბერს კი „დროების“ ფურცლებზე განიხილავს იონა მეუნარგიას ფრანგულად ნათარგმნ „ვეფხისტყაოსანს“, მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანს და თვით ფრანგულ ენაზე ამ უკვდავი პოემის გადათარგმნისა და გამოცემის ფაქტს, რადგან, მისი აზრით, „ძნელად მოსაფიქრებელია, რომ მდიდარმა ქართველმა კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა ათას თუმნამდე გადასდოს ლიტერატურის ნაწარმოებთა დასაბუქდავად, — ამგვარი ფაქტი ერთადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზე ლაპარაკი“. მურიე ცდილობს, ახსნას, თუ როგორ შეთხზა რუსთაველმა თავისი ვრცელი ეპიკური პოემა, რისთვის, ვისთვის, რა გარემოებაში, რა არის ამ პოემის ღირსება და მნიშვნელობა.


1884 წლის 30 ნოემბერს, პარასკევს, „დროების“ რედაქციამ საფრანგეთის კონსული, ფრანგების საქველმოქმედო კომიტეტის წევრი და ორმოცდაათამდე პატივცემულნი პირნი მიიწვია ჩაიზე და საუზუმეზე. ილია ჭავჭავაძემ რუსთაველი მზეს შეაღარა, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი მეუნარგია კი მთვარეს, რომელიც მუდმივად იმნათობებს ჩვენი ერის მოღვაწეთა შორის რუსთაველის შუქით, როგორც მზის შუქით პნათობს მთვარე.

ამ საღამოს, უეჭველია, მურიეც დაესწრებოდა. ის ხომ ერთ-ერთი იმათაგანი იყო, ვისაც ეკუთვნოდა „დროების“ რედაქტორის ი. მაჩაბლის მიერ ფრანგულ ენაზე წარმოთქმული მისალმების შემდეგი სიტყვები: „ეს პირველი არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელიც არ იქნება, რაც ფრანგულზე მითქვევით თავიანთი ყურადღება ჩვენი ჭვეყნისა და ლიტერატურისათვის. არც ერთს ევროპიელს უცხო ხალხს იმდენი არ უღვაწია, როგორც თქვენსას, ჩვენი ისტორიისა და ერის განვითარებისათვის“.

ჩვენს მცირე წერილს არა აქვს პრეტენზია გამოკვლევისა, იგი მხოლოდ ინფორმაციაა და მასზე დაყრდნობით ჩვენი საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხის გაშუქება შეიძლება. რამდენი რამ არის მოსაძიებელი და დასადგენი. თუნდაც მურიეს ურთიერთობა მეუნარგიასთან, ბედი იმ ხელნაწერებისა, რომლებიც დავით დადიანის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. რამდენი რამ შეიძლება შევისწავლოთ წიგნში ჩართული ილუსტრაციებით. მურიეს „სამეგრელოთი“ შეიძლება დაინტერესდნენ ეთნოგრაფებიც, ბიოლოგებიცა და მინერალოგებიც. ასი წელი შესრულდა ამ წიგნის გამოქვეყნებიდან. იგი საქართველოს სიყვარულითაა დაწერილი.



მეტი მოსწავლე ირიცხებოდა. ამ სკოლის მასწავლებლის გ. ნათაძის ცნობით, 1892 წელს, როცა ლ. ბოცვაძე კავკაზში მოვიდა, ქართულ სკოლაში მხოლოდ 48 მოსწავლე იყო, ხოლო, როცა წავიდა — 300 მოსწავლეზე მეტი. ლ. ბოცვაძის მზრუნველობითვე სკოლასთან გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა — სამკითხველო, სახალხო თეატრი, საკვირაო სკოლა, საღამოს კურსები მოზრდილთათვის, ჩამოყალიბდა მოძღვრალთა გუნდი, მოეწყო სისტემატური სახალხო კითხვები სურათების დემონსტრაციით, საპროექციო ფარნის დახმარებით და ყველა ამ სამუშაოს იგი ასრულებდა ყოველგვარი გასამრჩელოს გარეშე.



ლუარსაბ ბოცვაძის კავკაზში მოღვაწეობის პერიოდი მრავალმხრივია საყურადღებო. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალებს ვხვდებით მისივე პუბლიცისტურ წერილებსა თუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე დაწერილ ანგარიშებში, რომლებიც უნიკალურ დოკუმენტებს წარმოადგენენ როგორც კავკაზის ქართული სკოლის, ისე ჩვენი ეროვნული პედაგოგიური აზროვნების ისტორიისათვის.

დღეისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლუარსაბ ბოცვაძის არა მარტო პედაგოგიური, პუბლიცისტური თუ სამწერლო-ჟურნალისტური მოღვაწეობა, არამედ მისი პირადი წერილებიც, რომლებიც ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს პედაგოგიური აზროვნების ისტორიისათვის, „შუქს ჰფენენ მრავალ ბუნდოვან საქითს, რომელთა შესახებაც ბეჭდური წყაროები პირდაპირ ცნობებს ვერ გვაწვდიან“.

ამ წერილების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია პროფესორ იოსებ ბოცვაძის მიერ, ნაწილი წერილებისა, რომელთა აღრესატიც ი. გოგებაშვილია, გამოგზავნილია კავკაზიდან და გვაწვდის დამატებით ცნობებს კავკაზის ქართულ სკოლაში ლუარსაბ ბოცვაძის მოღვაწეობისა და იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პედაგოგიური აზროვნების შესახებ.

წერილებში ვხვდებით საყურადღებო მასალას კავკაზის ქართული სკოლის მშენებლობის, სასკოლო თეატრის და სკოლასთან ქართული ეკლესიის მშენებლობის, ამ ეკლესიის დანიშნულების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს

# ქართული სკოლა „ოვსთა“ ჭკუანაუი

ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების საკითხები, კერძოდ, შეხედულებები პირდაპირი წერის შესახებ, ნათაძის „ბავშვების მოკეთის“ კრიტიკა და ბრძოლა ი. გოგებაშვილის „დედაენის“ დასაცავად, ბრძოლა „მუნჯური მეთოდის“ დამკვიდრების წინააღმდეგ, ლევიცის მეთოდის სიყალბე და უნიადაგობა, რუსკოე სლოვო“-ს პოპულარობა და სხვა.

ეს წერილები დატულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ი. გოგებაშვილის არქივი, საქმე № 154).  
ვაქვეყნებთ ერთ-ერთ მათგანს.

### ლუა ბიბლიოფილი

დრმად პატივცემულო ბ-ნო იაკობ სვიმონის ძეგ!

დიდი ხანია მინდოდა კავკაზის სკოლის საქმის წარსულზე და ეხლანდელ მიმდინარეობაზე, მის ავკარგინაობის შესახებ რამე მეცნობებია თქვენთვის, მაგრამ რადგანაც ტყუილს ვერაფერს მოგწერდით და მართლით, როგორც ჩვენი ხალხთა განათლების გულშემატკივარს, ვერ გასიამოვნებდით, ამიტომ სიხუმე ვარჩიე და ეხლა, რადგანაც გარემოებამ მოიტანა, იძულებული ვარ გაცნობოთ შემდეგი: კავკაზის სკოლაში ამჟამად 49 მოსწავლე ქალი და ვაჟია. სკოლაში მუდამ დადიან 40-45. I განყოფილებაში არის 20, II — 14, III — 8 და IV — 7. მესამეში ერთი კვირა იქნება რაც „დედაენა“ გავითავებინე. მე-

ოთხეში „ბუნების კარს“ ჰკითხულობენ, მაგრამ ბევრს მეოთხელს მესამელი სკოლა ზოგიერთ საგნებში. საზოგადოთ მეოთხე განყოფილება, გარდა ორი შაგირდისა, ძალიან ცუდად მომზადებულნი არიან. ეს ორი შარშანდელი დარჩენილი არის. მესამეც სუსტია პროგრამის მიხედვით, მაგრამ ამას კიდევ ეშველება რამე და მეოთხე განყოფილებას რა ვუყო არ ვიცი. რაც შეეხება I და II განყოფილებას თუმცა არც იქ სრულდება წესიერად პროგრამა, განსაკუთრებით ქართულ წერა-კითხვაში, მაგრამ უწინდელთან შედარებით, ამბობენ, მეტი წარმატებააო. წლის ბოლოს ყველა მოსწავლეების რუსულ-ქართულ ნაწერებს გაახლებთ და იქიდან დაინახავთ, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის საქმე ყველა განყოფილებაში.

ამასთანავე გიგზავნი 50 მანეთს ქართული წიგნებისათვის და გთხოვთ, აგვიჩიოთ ისეთი წიგნები, რომელიც საჭიროდ დაინახოთ სკოლის ბიბლიოტეკისათვის და რომელიც არ იყოს მოხსენიებული იმ წიგნების სიაში, რომელიც ამას წინად გამოგვგზავნე საზოგადოების კანცელარიაში. წიგნები გამოგვიგზავნეთ უყდოთ, ყდას აქ გავაკეთებინებ, რადგანაც უფრო იაფად დაჭდება. ამისათვის შეგროვილი ფულებიდან 11 მანეთი დავიტოვე.

თქვენი მარად პატივისცემის მოსურნე

ლ. ბოცვაძე.  
14 მარტი, 1898 წ.





# ჩინური აზნაუზი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

„ჩინური აზნაუზი“ 1928 წელს დაიბეჭდა „პეტროგრადის პრავდის ილუსტრაციებში“. მასში სამოქალაქო ომის ერთი ტრაგიკული ფურცელია მოთხრობილი. ჩვენს თვალწინ ჩაივლის რევოლუციის ბოლოქარ ტალღებში მოყოლილი უბრალო ადამიანის ცხოვრება. ბულგაკოვმა ყოველგვარი პათოსისა და აღფრთოვანების გარეშე ასახა სამოქალაქო ომი და ისტორიის ქარცეცხლის ტალღებში მოხვედრილი პატარა ადამიანის ტრაგედია. მოთხრობა პირველად იბეჭდება ქართულად.

## ქვესი ჩანანატი მოთხრობის ნაცვლად მდინარე და საათთა

I  
მართლაც გასაოცარი წოწია იყო, ციური იმპერიის ჭეშმარიტი, დათფლული ელჩი, ოცდახუთიოდე წლის, ან იქნებ ორმოცის? ეშმაკმა უწყის. მგონი სულაც, ოცდასამის უნდა ყოფილიყო.

არავინ უწყის, იმ იღუმალმა წოწიამ ხმელი ფოთოლივით რატომ გადმოიფრინა ათასობით ვერსი და ამ გამობრული, დაკბილული კედლის ქვეშ მიყუებული მდინარის ნაპირას აღმოჩნდა. თავზე ყურებლულა ქუდი ეხურა, ტანთ ნაკერებჩარღვეული მოკლე ქურთუკი, საჯდომგამოხეული დაბამბული შარვალი და დიდებული ყვითელი ბათინკები ეცვა. ოღონავ გაღრეცილი, მაგრამ ძარღვიანი ფეხები უნდა ჰქონოდა. კაპიკი არ ეგდო ჯიბეში.

მისი ყურებინა ქუდივით ბურძღლიანი და უსიამო ქარი დათარეშობდა დაკბილულ კედლებთან. ერთი შეხედვაც კმაროდა იმის მისახვედრად, რომ ეშმაკისეული და სრულიად უცხო იყო მდინარე. წოწიას ზურგს უკან ტრავმის ცარიელი ხაზი მოჩანდა, წინ — დასვრეტელი მარმარილო,


მარმარილოს მიღმა, ფერდობზე, ძირგამძვრალი ნავი, ნავს იქით ეს წყეული მდინარე. მდინარის გაღმა ნაპირზე ისევ მარმარილო, მარმარილოს მიყოლებით კი სახლები, ქვის სახლები, ეშმაკიც ვერ მოთვლიდა, იმდენი სახლი იყო. ეს სულელური მდინარე რატომღაც შუა ქალაქში გაჩხერილიყო.

წოწიამ გრძელი, წითელი მილებისა და მწვანე სახურავების ცქერით იჭერა გული და ცას ახედა. ცა კი ყველა დანარჩენზე უარესი აღმოჩნდა, რუხზე რუხი, ჭუჭყიანზე ჭუჭყიანი... და ამ რუხ ცაზე, არწივებსა და გუმბათებზე ბოჭაბლუქით მოკურავდა ფაშგადმობრუნებული, მსუქანი ღრუბელი. ცამ ბურძღლა თავში ჩასცხო წოწიას. ცხადზე ცხადი იყო, რომ ახლა თუ არა, ცოტა ხანში მაინც ამ ციდან ცივი, სველი თოვლი წამოუშენდა და საერთოდ, არაფერი კარგი, მაძღრისი და სასიამოვნო ამ ცის ქვეშ არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ო-ო-ო, — რაღაც წაიზმუვლა წოწიამ და კიდევ რამდენიმე სიტყვაც დასძინა სრულიად გაუგებარ ენაზე.

წოწიამ თვლები მოკუტა და იმავ წამს ცხადლივ დაინახა ძალზე მცხუნვარე მრგვალი მზე, ძალზე ყვითელი მტვრიანი შარა, მოშორებით ოქროს კედელივით გაოლიანი. შემდეგ ორი ტოტებგაბარჯილი მუნა, დაშაშრულ მიწაზე დაზოლილ ჩრდილს რომ ფენდა, და ფანზის თიხიანი პარმალი. ვითომ თვითონაც ჯერ ისევ ბავშვი, იქვე ჩაცუტულიყო, გემრიელ ნაზუქს ლოღნიდა და თავისუფალი მარცხენა ხელით გავარგარებულ მიწას ეფერებოდა. ძალიან სწყუროდა, მაგრამ წამოდგომა ეზარებოდა და ელოდა, როდის გამოსცდებოდა დედა მუნას. დედას მხარხინებე ორი ვედრო ეკიდა, ვედროში კი ყინულივით წყალი ჭყამპალებდა...

წოწიას თითქოს სამართებ-







ლით გაესერა გულ-მუცელი. გადაწყვიტა, უკან გამგზავრებულიყო, ხელახლა გადაეღებოდა ეს უზარმაზარი სივრცე, გამგზავრებულიყო — მაგრამ როგორ? რა ექვამა... რაღაც, კიტაი-სა... შეუშვი-ვაგო-ო-ნში...

დაკბილული გოლიათის კუთხის მიღმა ზარების რეკვა გაისმა. ზარები გაურკვეველად რეკდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ, მაგრამ მაინც ცხადად იგრძნობოდა, რომ მწყობრად და ძლევამოსილად ეწადათ რაღაც მულოდია დაეკრათ. წოწია კედლის კუთხისკენ გაეშურა, შორეთსა და ცას გახედა და დარწმუნდა, რომ მუსიკა რუხ, წაგრძელებულ კომპოზი ჩატანებული მრგვალი, შავი და ოქროსისარებოიანი საათიდან მოდიოდა. საათი ერთ ხანს უკრავდა, უკრავდა და მერე დადუმდა. წოწიამ ორმად ამოიხარა, თვალი გააყოლა ათუხთუხებულ, გვარიანად შელახულ მოტოციკლს, პირდაპირ კომპოზი რომ შერახრახნდა, უფრო ჩამოიფხვრა ქული და გაურკვეველი მიმართულებით გააბოტა.

II

**შავი ბოლი, ბროლის დარბაზი**

საღამოს წოწია უკვე კარგა გვარიანად გაშორებოდა იმ შავ, მუსიკალურ საათს და რუხ სათოფურებს, ერთ ჭუჭყიან ვარეუბანში იმყოფებოდა, ორსართულიანი სახლის გამჭოლ ეზოში, რომლის იქითაც დამპალი, რუხი თოვლითა და დამტვრეული მწითური ავტორით დაზოლილი ველი მოჩანდა. აქოთებული დერეფნის ბოლო ოთახში, ერთიანად მუშაბანამოძენძილი კარის მიღმა, პატარა ლუმენში მოწითალო, ავისმომასწავებელი ალონი იწვოდა შეშა. ლუმენის მრგვალ, ცეცხლოვანნასვრეტებოიანი კარის წინ ხანდაზმული ჩინელი ჩაცუქულიყო... ორმოცდათერთმეტის იქნებოდა, იქნებ ოცხმოცისაც. სახე ხის გამოხმარ ქერქს მიუგავდა, თვალბეც, ლუმენის კარს რომ გამოაღებდა, დემონური ბოროტებით უციმციმებდა, ხოლო თუ მიხურავდა — ნაღვლიანი, ღრმა და დამშეული უჩანდა. წოწია ერთიანად გააოხრებოდა საბანზე იჭდა ჩაზნეტილ საწოლში, სადაც დაურიდალი და მსხვილ-მსხვილი ბადლინჯოები დაფათურობდნენ და დამფრთხალი და დამაბული ასევე ორდა შებოლილ ქერზე წითელი და შავი ჩრდილების რიალს, თან ხშირ-ხშირად იშმუშნებოდა, უბეში იყოფდა ხელს, გამწარებული იქეჭებოდა და ბებერი ჩინელის მონათხრობს უსმენდა.

ბერიკაცი ლოყებს ბუშტავდა, შეშას უბერავდა, და ბოლით ამომწვარ თვალებს მუშტით იფშენებდა. მაშინ შეწყვეტდა ხოლმე თხრობას, შემდეგ კარს კეტავდა, ჩრდილში უჩინარდებოდა და წოწიასთვის გასაგებ ენაზე იწყებდა ლაპარაკს.

მოხუცი ჩინელი რაღაც უსამველოდ შემზარავს ამბობდა მოკლე-მოკლედ. რუსულად ალბათ ასე გამოვიდოდა: „ბუერი — არა. არანაირი — არა. თვითონ მშვიერი, ვაჭრობა — არა და არა. კოკაინი — ცოტა. ოპიუმი — არა“. ეს უკანასკნელი მოხუცმა ჩინელმა განსაკუთრებული გულსტკივილით აღნიშნა. აღარ არის ოპიუმი. ოპიუმი ვათავდა. უბედურებაა, მაგრამ ოპიუმი გამოვლია. ამას რომ ამბობდა, ჩინელს ბებრული თვალები ერთიანად ემალებოდა ირიბ ჭრილში და ლუმენის შუქიც ვეღარ აღწევდა მათ იღუმალ სიღრმეს.

აბა რა არის? განწირულად იკითხა წოწიამ და გამწარებული შეიშმუნა.

რა არის? რაღაც კი არის, არის რაღაც, მაგრამ ყველაფერი ისეთი, რაზეც უარის თქმა აჯობებდა. არის ყინვა, არის ჩეკა, ყველას რომ აპატიმრებს. ველზე, ერთი მუჭა კოკაინისთვის დანა ჩასცხეს. კოკაინი იმ უნამუსო მკვლელმა წაიღო, ნასტიკის არამზადა.

ბებერმა თითი თხელი კედლისაკენ გაიშვირა. წოწიამაც იქით მიაყურადა. ქალის ჩახლეჩილი ხითხითი, რაღაც შინი და ყურყური გაარჩია. კიდევ, არაყი არის. ასე ვანუმარტა ბერიკაცმა, გაქონილი ხალათის საყველო გადაიწია და ძარღვებამოყრილ ყვითელ მხარზე, ირიბი, ახალთახალი, სამი გოჯის სიგრძის იარა დაანახა. აშკარად კარგად გალესილი ფინური დანის კვალი უნდა ყოფილიყო. წითელი იარის დანახვამ თვალბეჭდში ბინდი ჩაუყენა ბებერ ჩინელს, გამხმარი კისერიც ჩაუშავდა, კედელს მიაჩერდა და რუსულად წაისისინა: — ბანდიტი — არის.

შემდეგ დაიხარა, ლუმენის კარი გამოაღო, ცეცხლოვან ხანაში ორი ნაფოტი შეჩარა და ლოყებდაბერილ, ჩინურ აესულს დაემსგავსა.

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ შეშა უკვე ზომიერად და ძალუმად ბუბუნებდა, შავ მილსაც სიწითლე შეეპარა. სიცხე ავსებდა ოთახს, წოწიამ ქურქი გადაიძრო, საწოლიდან ჩამოფოფხნდა და იატაკზე ჩაცუქდა. ბებერ ჩინელს სითბომ გული მოუღობა, ფეხმოკეცილი იჭდა და რაღაც ბუნდოვანს ყვებოდა. წოწია ყვითელ ქუთუთოებს ახამხამებდა, სიც-

ხით გათანგული სულს იბერავდა და გაცეხებული იშვიათად-ლა თუ დაეკითხებოდა ნაღვლიანი ლულულად რაღაცას. ბებერი კი ბუბუნებდა. თვითონ უკვე დაბერდა — რაღაც ენაღვლებდა. ლენინი — არის. ყველაზე უფროსი. ბურჟუები აღარ არიან. სამაგიეროდ წითელი არმიია. ძალიან ბევრი. მუსიკა. ჰო. ჰო. იმიტომ რომ ლენინია. საათიან კომპოზი — იქეჭი და იქეჭი. კომპოზი იქით? კომპოზი იქით — წითელი არმიია.

სახლში დაბრუნება? რას ამბობ, არა. საშვი არ არის. კარგი ჩინელი ჰქვიაანად ზის.

— მე კარგი ვარ. სად ვიცი-ხივორა?

— საცხოვრებელი არ არის, არა და არა. წითელი არმიია ყველგან ცხოვრობს.

— წითელი... — გაცოცხებით ჩაიხურჩულა წოწიამ და ცეცხლოვან რგოლებს დააჩერდა.

საათი გავიდა. ბუბუნი ჩაცხრა და ახლა ექვსი ნახვრეტი ექვსი წითელი თვალივით იმზირებოდა. სახემომანჭული, ერთიანად დაბერებული წოწია, ცრიატ ჩრდილებსა და მოწითალო ათინათში იატაკზე ეგდო და ბებრისკენ ხელებ-გაწვდილი, რაღაცას ევედრებოდა.

ერთი საათიც გავიდა, კიდევ ერთი. კარის ექვსი ნახვრეტი დაბრმავდა და ფანჯრის მიხურული სარკმლის ღრიტოებში მოტკბო შავი ბოლი გაიკლავა. კარის ზევითა ღრიტო ჭინჭებით იყო ამოგმანული, გასაღების ზვრელიც ჭუჭყიანი სანთლით ამოვლესათ. იატაკზე დადგმული სპირტქურა გალუული, მოლურჯო ალით ციმციმებდა, წოწია იქვე გაფენილ ქურქზე იწვა გვერდულად. ხელში ნახევარარშინიანი, გველესაბამოტვიფრული ყალიონი ეჭირა. სპირტქურის ოქროსდარ სატუჩზე მეწამულ წვრტილად ღლვებოდა შავი ბურთულა. სპირტქურის მეორე მხარეს, დაბეჭილ საბანზე ბებერი ჩინელი იწვა, მასაც ასეთივე ყვითელი ყალიონი ეჭირა. და მის ირგვლივ, ისევე, როგორც წოწიას გარშემო, დნებოდა და იზოლქვებოდა შავი ბოლი და სარკმლისკენ მიიწევდა.

გამთენიისას იატაკზე, მიღებული ალის ენებთან, ბოლის ბურუსში ორი დაკრეჭილი პირილა მოჩანდა — ვერცხლით დაფარული ყვითელი და თეთრი ცილები. სად იყო მოხუცი, არავინ უწყობდა. წოწია კი უზარმაზარი საათის ქვეშ, ბროლის დარბაზში ცხოვრობდა და საათი მაშინვე რეკდა, როგორც კი ოქროს ისრები წრეს შემოუვლიდნენ. ზარის რეკვა ბროლს აკისკასებდა, ან-

აზღად ძალზე მხიარული, ყვე-თელილექტიანი ლენინი, გამგზავრებულიყო, უზარმაზარი მხიარული, მოქნილი ნაწნავი, მხიარული სთრევდა და კეფაზე ლილით შეკრული ქული ეხურა. ის ის-არ-ჩანქარას სტაცებდა ხელს და მარჯვნივ იქნევდა, მაშინ საათი მარცხნივ რეკდა, ხოლო თუ მარცხნივ გაიქნევდა — საათი მარჯვნივ რეკდა. ზარის შემოკვრის შემდეგ ლენინს წოწია აივინისაკენ მიჰყავდა წითელი არმიის საჩვენებლად. იცხოვრე ბროლის დარბაზში. სითბო — არის. ნასტიკაც აქვეა. ნასტიკა — შვის უნახავი ლამაზმანი, ბროლის სარკვეზე მოაბიჯებდა და ისეთი პატარა ტერფები ჰქონდა, მუჭში მომწყვდევდი. ნასტიკას არამზადა კი, მკვლეელი და ბანდიტი, ფანტური დანით შემოეხეტა და რბაზში, მაგრამ გოლიათივით შემზარავი და უშიშარი წოწია ზე წამოიშარა, ფართე ხმალი მოიქნია და თავი მოკვეთა. თავი აივინდან გადაგორდა, წოწიამ თავმოკვეთილ ტანს ხელი დასტაცა და თავს მიაყოლა. და მთელმა ქვეყანამ თავისუფლად ამოისუნთქა, გაიხარა, ეს დანიანი არამზადა რომ ვეღარ იპარპაშებდა. ლენინმა ზარი სახეიმოდ ააქოლარუნა, ჯილდოდ კი მკერდზე ბროლიანტის ვარსკვლავი ჩამოჰკიდა. ზარები ისევ არაწყუნდნენ და ბოლოს, ბროლის იატაკზე ჩამორეკეს ოქროს გოლიანის ნაყარი, თავს ზევით მრგვალი, ცხელი მზე და მუხის დაზოლილი ჩრდილი... დედაც მოაბიჯებდა და მხარხიზე დაკიდებულ ვედროში ყინულივით წყალი იღგა.

III

**სიზმარი ბაქრა, — არის სინამდვილე**

არავინ იცის, რა ხდებოდა ამ ორსართულიან სახლში შემდგომი ოთხი დღის განმავლობაში. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მეხუთე დღეს, ხუთი წლით დაბერებული წოწია ჭუჭყიანი ქურქში გამოვიდა, ლონდ უკვე ქურქი კი აღარ ეცვა, ტომარა ჰქონდა ჩამოცმული, ზურგზე ამოტვიფრული შავი დამლით „№4712 ცენი“. დიდებული, ყვითელი ბათინკებიც საღვაც გამქრალიყო, რაღაც მწითური ჭლანები წამოეცვა, საიდანაც ფრჩხილებ-აპრიალეზული, დწითლებული ცერა თითები მოუჩანდა. მოსახვევში, გადაფრდებულ ფარანთან წოწიამ ჩაძიებით ასედა რუხ ცას, ხელი ჩაიქნია და ვიოლინოსავით წაუმიღერა: — წითელი-ი...

და გაურკვეველი მიმართულებით გაეშურა.



ჩინელი კამარადი

ორი დღის შემდეგ წოწია მრგვალთალებიან უზარმაზარ დარბაზში აღმოჩნდა, ხის საწოლზე. წოწია თითქოს ბელეტაჟზე იჯდა, ჭლანამოკრული ფეხები ქვემოთ ჩაეკიდა, პარტერში კი უწვევრული, თმაგადაპარსული თავები ირეოდნენ, ქუდეზე მიმაგრებული წითელი ვარსკვლავებით. წოწია დიდხანს უცქერდა ვარსკვლავთა ქვეშ გამონათებულ სახეებს, ბოლოს იგრძნო, აუცილებელი იყო, როგორმე ეპასუხა ყურადღების სანაცვლოდ. უპირველესად სახეზე თავისი საუკეთესო, დატყბილული ღიმილი აღიბეჭდა, შემდეგ წამღერებით და წიკვინით წარმოთქვა ყველაფერი, რაც კი გაეგო, ვიდრე მრგვალი მზის ქვეყნიდან ზარად დაღვრილი საათების დედაქალაქამდე მოაღწევდა:

— პური... ვაგონი შეუშვი... ნავთი... კიტაი-სა... — და კიდევ ის სამი სიტყვა, რომელთა შეხამებაც გასაოცარ ეფექტს ახდენდა ხოლმე. წოწიამ საკუთარი გამოცდილებით იცოდა, რომ ამ სიტყვათა შეხამებას შეეძლო, ვაგონის კარი გაეღო, მაგრამ მის გამოვლენა შეეძლოთ, ჩინურ მოტვლებილ თავში ჩაეცხოთ მუშტი. ქალები იმავ წამს ერიდებოდნენ, კაცები კი სწორედ ამ სიტყვათა შეხამების გაგონებისთანავე იქცეოდნენ სხვადასხვაგვარად: ან პურს აძლევდნენ, ანდა პირიქით, საცემრად იწევდნენ. ახლა ამ სიტყვებს სასიამოვნო შედეგი მოჰყვა. სიცილის ქუხილი შეასკდა დარბაზის თალებს და ჰერამდე ასწვდა. წოწიამ პირველ ტალღას ღიმილი №2-ით უპასუხა, შეთქმულის იერი რომ დაჰკრავდა და კიდევ გაიმეორა ის სამი სიტყვა. ლამის დაყრუვდა. გამყინავმა ხმამ დაფარა ქუხილი.

წოწიას ირგვლივ ჰაერი ზანზარებდა, შემდეგ ჩაცხრა. იმავ წამს მისცეს მახორკა, პური და ყვითელი კრუშკით ბლანტი ჩაი. წოწიამ გაფოთებით, თვალის დახამხამებაში გადაყლაპა კბილებში ახრამუნებული სამი ნაჭერი, ჩაიცი მიაყოლა და ხარბად მოქაჩა მახორკა. შემდეგ ვიღაც მწვანეგემინასტურიანი კაცის წინაშე წარსდგა. საბეჭდი მანქანის გვერდით, საფარებელ-ჩამტვრეული ღამის ნათურით განათებულმა კაცმა წოწიას კეთილად შეხედა და კარში შემოკვეტილ თავს უთხრა:

— ამხანაგებო, არაფერი საინტერესო არ ხდება. ჩვეულებრივი ჩინელია. — უჭრიდან ქალღმერთის ფურცელი ამოიღო, კალმისტარს მისწვდა და იკითხა:

— სახელი? მამის სახელი და გვარი?

წოწიამ ღიმილით უპასუხა, მაგრამ სიტყვებისაგან თავი შეიკავა.

— კ-ხე... შენ რა, ამხანაგო, არ გესმის რუსული? ა? რა გქვია? — მან თითქმის წოწიაზე მიუთითა. — სახელი. ჩინეთიდან ხარ?

— კიტაი-სა... — ჩაიმღერა წოწიამ.

— ჰო! ჩინელი რომ ხარ, ვხვდები. სახელი რა გქვია, კამარად? ა? — წოწია გასხვივოსნებულ და მაძლარ ღიმილში ჩაიყინა. პური და ჩაი მუცელში ნელდებოდა და სხეულს სასიამოვნო სიზანტეს ჰგვრიდა.

— რა უბედურებაა, — ჩაიბუროდუნა იმ კაცმა და შარცხენა წარბი მოიფხანა. შემდეგ დაფიქრდა, წოწიას გახედა, ქალღმერთი ისევ უჭრაში შეინახა და თავისუფლად ამოისუნთქა.

— მალე სამხედრო კომისარი მოვა. მაშინ.

V

ვირბოვოწი! ვირბოვოწი!

ორიოდე თვე გავიდა. და როცა რუხი ცა ცისფრად იქცა და მოთეთრო, მუცელგამობერილი ღრუბლებით დაიფარა, უკვე ყველამ იცოდა, რომ თუ ფრანც ლისტი როიალზე თავისი დიდებული რაფსოდების დასაკრებლად იყო დაბადებული, ეს წოწია სენ-ძინ-პოს ამ ქვეყნად იმიტომ მოსულიყო, ტყვიამფრქვევი ეეკანებინა. თავიდან გაურკვეველი ჰორები გავრცელდა, შემდეგ ეს ჰორები ლეგენდებდა იქცა და სენ-ძინ-პოს თავს შარავანდელად დაადგა. ყველაფერი შუაზე გადაჭრილი ძროხით დაიწყო და იმით დასრულდა, ორი ათასი ნაბიჯის სიშორიდან თავებს რომ კვეთდა ხალხს. ან კვეთდა, ან არ კვეთდა, მაგრამ მართლაც ასპროცენტისანი სიზუსტით ისროდა. იქამდე, რომ ასის არამდგრადობის და პირობითობის ექვიც ჩნდებოდა. იქნებ ასხუთი პროცენტი იყო? წოწიას გიშრისფერ ირიბ თვალებს დაბადებიდან გასაოცარი სიზუსტე დაჰყოლოდათ, სხვაგვარად ვერაფრით აიხსნებოდა ამგვარი სროლა.

სასროლ მოედანზე უზარმაზარი მანქანით მოსრიალდა მედიდური რუხფარაჯიანი, უღვაშებლუნულა კაცი და ღურბინიდან დაკვირვებით შესცქეროდა. წოწია კი აკაკანებული „მაქსიმის“ სახელურს აწვებოდა და ისე ცელავდა კორამს, როგორც დედაკაცი ცელავს ხოლმე ხორბალს.

— ეშმაკმა უწყის, მართლაც, რა ხდება. ასეთი რამ ჯერ არ მინახავს, — ამბობდა ღუნღუნულავაშვებიანი, მას შემდეგ, რაც გავარვარებული მაქსიმი

დადუმდა. და წოწიასაკენ პირმიქცეულმა, თვალმაცემციმბულმა დასძინა: — ვირტუოზო! — ვირტუოზო! — უპასუხა წოწიამ და ჩინურ ანგელოსს დაემსგავსა.

ერთი კვირის შემდეგ პოლკის მეთაური ბოხი ხმით ეუბნებოდა მეტყვიამფრქვევთა ოცეულის მეთაურს:

— ამ ძაღლიშვილს უყურე ერთი, — შემდეგ აღფრთოვანებულმა აიჩეჩა მხრები, სენ-ძინ-პოსკენ შებრუნდა და თქვა: — პრემია უნდა დავუნიშნოთ!

— პრემია-ალი... ვადახა, ვადახა, — უპასუხა წოწიამ და მოყვითალო ნათელი განფინა ირგვლივ.

მეთაურმა ჩაიბუხუნა. მეტყვიამფრქვევები როხროხით გამოეხმაურნენ. იმავ საღამოს კი, კანცელარიაში, ვიღაც გიმნასტურიანი მეთაურს მოახსენებდა, რომ მიღებული იყო ქალღმერთი — წოწია ინტერნაციონალურ პოლკში გაეგზავნათ. მეთაურს სახეზე სიწითლემ გადაუარა და იღრიალა:

— ეს არ უნდა? — და მსხვილი, ბანჯგვლიანი და ფრჩხილმოკვეტილი თითით ბრანწი უჩვენა. ის ვიღაც მაშინვე დაჯდა ქალღმერთის შესადგენად, რომელშიც იუწყებოდა, რომ მეტყვიამფრქვევე სენ-ძინ-პოს რკინის პოლკის სიამაყე იყო და ვირტუოზო...

VI

ბრწყინვალე დებიუტი

თვე გავიდა, ცაზე თვით უმცირესი ღრუბელიც არსად ჩანდა და ცხელ მზეს ხელით მისწვდებოდი. ორი ვერსის სიშორეზე ლურჯი კორომები ქუხდნენ. ზურგში და მარცხნივ კი რკინის პოლკი უკან იხევდა, მიწაში ჩამძვრალი, მშრალი სროლა-სროლით მიგორავდა. მიწაზე ლენტებდახვეული წოწია დამრეულ ფერდობზე იწვა ცხვირწამხხული ტყვიამფრქვევის გვერდით, საშინელ, მსხვილ კალიას რომ ჰგავდა. სახეზე შეშფოთება ეწერა. ხანდახან მზერას ცისკენ ალაპყრობდა, შემდეგ კორომებს აკვირდებოდა, ხანაც გვერდზე გააპარებდა თვალს და ნაცნობ მეტყვიამფრქვევის ხედავდა. მისი თავი და მკერდზე დამაგრებული წითელი ღუნღულა ლენტი ორმოც ნაბიჯზე მოჩანდა ბუჩქებში. შემდეგ მეტყვიამფრქვევისაც არიდებდა თვალს. ისევ თვალმოკლეული შესცქეროდა მზეს, ქუდს რომ უხურებდა. ოფლს იწმინდდა და ელოდა, რა მოჰყვებოდა ამ მოკაკანე წამებს.

მათ კი აი რა მოჰყვა: შორს, ლურჯ ტყეებთან შავი ჯაჭვი გაიწვართა და ხან მიწას გაკრული, ხანაც ამოზრდილი, გამრავლებული და მიმოფანტული,

თანდათან დამრეცი ფერდობისაკენ წამოვიდა. რკინის პოლკი წოწიას მარჯვნივ დასდგა და აფრთხილებდა წოწიას უკნიდან. წამყინავდა ხმა ფერდობზე აიჭრა:

— ცე-ცხლი!

და იმავ წამს ბანტიანი მეტყვიამფრქვევის ტყვიამფრქვევი აკაკანდა ბუჩქებიდან. საღამო მარცხნიდანაც გამოეხმაურნენ და მიწიდან ამოზრდილი ჯაჭვის წინ მტვერი აბუქდა. წოწია უფრო მოხერხებულად მოეწყო, თავისი ყვითელი, ვირტუოზული ხელები ტყვიამფრქვევის სახელურს მოსკიდა. ჩამდენიმე წამს ღუმლა, ლულას ასწორებდა, შემდეგ კი ტყვიამფრქვევი მოკლედ, მომწოდებლად აკაკანდა, გაჩუმდა... ისევ აკაკანდა და უცებ, გამაყრუებელი კაკანით სულშეხუთულმა, თავისი შეზარავი რაფსოდია დაამდგამა. რამდენიმე წუთში გავარდნილმა ტყვიებმა კიდით კიდემდე დაკორტეს ჯაჭვი. ჯაჭვი მიწას გაერთხა, ისევ წამოდგა, ალაგ-ალაგ გაწყდა და დაიშალა. აღფრთოვანებული, ჩახლეჩილი ხმა აიჭრა უკან:

— წოწია, მიდი! ცეცხლი! ცეცხლი!

მტვერსა და მირაჟში წოწია მეორე ჯაჭვისაკენ უწყვეტ ნაკადად გზავნიდა ტყვიებს, და უცებ შორს, მარჯვნივ, მიწიდან მუქი რივი ამოიზარდა და მტვერის ბუჩქი დააყენა. შეშფოთების დენმა უხილავად დაუარა ფერდობის დამრეცს. ჩახლეჩილმა ხმამ წყვეტილად იხვალა:

— შემტვევი კავალე-რისიკენ...

ქუხილით შეზანზარებული მიწის თრთოლვამ წოწიამდეც მიიღწია და შავმა ზოლებმა გასაოცარი სისწრაფით იწყო მოახლოვება. იმ წუთას, როცა წოწია ტყვიამფრქვევს მარჯვნივ უქცევდა პირს, მის თავს ზევით მქრქალმა ცეცხლმა გააპო ჰაერი, რალაცამ მკერდით მიაგდო ხელებზე და თვალის ჩინი წაართვა.

როცა ხელახლა გააჩია მზე და ბურუსიდან ხელახლა ამოცურდა ტყვიამფრქვევი და გათელილი დახაზი, ირგვლივ ყველაფერი გადაიმსხვრა და საღამოც გაფრინდა. უკნიდან პოლკი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ინთებოდა კაკანად და ისევ ქრებოდა. მეკრდის მწველი ტკივილით სულშეხუთული წოწია შებრუნდა, ბუჩქში გაფრენილ მხედრებს ჰკიდა თვალი, იქით რომ მიგვლაობდნენ, სადაც ადრე რკინის პოლკი ქუხდა. მარჯვენა მეტყვიამფრქვევი გამქრალიყო. ბორცვისკენ კი, ნახევარმთვარედ შემოწყობილი, მწვანედ შემოსილი ადამიანთა ჯაჭვი მობრბოდა და სამხრეთულები ოქროს ლაქებად ბზინავდა მზე-




### ნუთუ მართალია?

#### არასოდეს დაუბვიანება

მანჩესტერელი უილიამ ალდერმან ნელდი (1789-1864) ისეთი პუნქტუალური იყო, რომ თანამოქალაქეების გამოჩენაზე ასწორებდნენ საათებს.

ერთხელ საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში კრებას ესწრებოდა. უცებ წამოდგა, საათზე დაიხედა, შემოფოთებულმა განაცხადა: „დრო ამოიწურა, ჭენტმენებო!“ და უსხლოდ დაეცა.



თვალგახელილს ეძინა

ფრანგი თეოდორ კორნეტი (1835-1890) ცნობილი იყო თავისი სიძუნწით. 250000 დოლარი ოქროს ვალუტა ჰქონდა შინ შენახული. თვალგახელილს ეძინა 28 წელი და მთელი ამ ხნის მანძილზე არასოდეს გაუძარცვავთ.




### ორივემ ას-ასი წელი იცოცხლა

პორტუგალიელი სელესტინო სეგურადო დაიბადა 1812 წლის 1 იანვარს, გარდაიცვალა 1912 წლის 2 იანვარს.

შვილი, ედუარდო, დაიბადა 1882 წლის 1 იანვარს, გარდაიცვალა 1982 წლის 2 იანვარს...

ორივე ერთსა და იმავე დღეს დაიბადა და გარდაიცვალა, ორივემ 100 წელი და ერთი დღე იცოცხლა.



მანახვერეპი

— რაც გავფლანგე, იმის ნახევარს მოგართმევ, ოღონდ სასჯელი გამოიწვევს, — ეხვეწებოდა ერთი ბრალდებული მოსამართლეს.

— მეორე ნახევარი?  
— მეორე ნახევარი რევიზორ-ბუღალტერს მივეცი.

### მოუცლელი

- ამჟამად რას აკეთებ?
- არაფერს.
- რატომ?
- დრო სულ არა მაქვს.
- ეცადე, რამე გააკეთო და დროც გამოჩნდება.

### რამდენად

- დღეს ისე გამოვიარე, არაფერი მომიტანია.
- ძალიან გავგახარეთ.
- რა გავგახარდათ?
- აი, ის, არაფერი რომ არ მოვიტანია.

### სახვამთო ქათინაური

ერთ კაცს, რომელსაც სოფლიდან ჩამოსული მეგობარი ახლდა, ქუჩაში თანაკურსელი ქალი შეხვდა.

— უცხად გიცანი, სულ არ გამოცვლილხარ, — მიეკათინაურა იგი ქალს. — აგერ ორმოცი წელია ერთმანეთი არ გვიხანავს.

— როგორ, — გაიკვირვა მეგობარმა, — მაშინაც ეგეთი იყო?!

### წინდახედულება

— ჩვენთან რომ ნათესავები მოდიან, ყოველთვის მოაქვთ რამე ნაცხარი, შენ კი იმათთან არაფერი მიგაქვს ხოლმე, — უსაყვედურა ცოლმა ქმარს.

— ტკბილეული ჩვენს ასაკში მავნებელია, თანაც არ მინდა, ისინიც ისე ილანძღებოდნენ, როგორც ჩვენ, შენი გამოცხობი და მომტანი ასე და ისე, — უპასუხა ქმარმა.

### მძინვე კითხვა

— მოკეთებულხარ სავადმყოფოში... მკურნალობა, ალბათ, უფასო იყო.

— ნუ მკითხავ..

### საშიში ბადარჩინა

ექიმს უოფილმა პაციენტმა უთხრა:

— ხალხურმა წამალმა სიკვდილს გადამარჩინა.

— როგორ გეკადრებათ... ხომ შეიძლება იმ წამალს რამე საშიში უკუჩვენება ჰქონდეს?!

### უშპნობი

თეატრის დირექტორმა მსახიობი ქალის ბენეფისზე მისახალმებელ სიტყვაში აღნიშნა:

— ჩვენი ძვირფასი მსახიობი სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი მოვიდა თეატრში. ოცდაათი წელი ერთგულად იმოდგა და დღემდე ისეთივე დარჩა.

### ორი შესაძლებლობა

ერთი კაცი მყვებოდა: **მარტოვანი**  
— ჩვენს საწარმოში, გაყოფილია და რაციონალიზაციის განყოფილებაში, ახალი გამგე დანიშნეს, მაგრამ, ეტყობა, დიდხანს არ გააჩერებენ. სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომაზე შეეძლო, ახალი ტექნოლოგიური ხაზის დანერგვის წინააღმდეგ გამოსულიყო. ეს კი არ გააკეთა. ახლა ამბობენ, ან მოხსნიან, ან დააწინაურებენო.

### შესვის ამოღება

— დღეს რა გასწავლეს, შვილო, სკოლაში?

— ფეხვის ამოღება.  
— მე რე დარგვა და შემობარვაც უნდა ისწავლოთ, თორემ მარტო ამოღებით შორს ვერ წახვალთ.

### მოგზაურობის მიზეზი

— ბოლო დროს რაღაც ძალიან დაეჩვიე ტურისტულ მოგზაურობებს...

— კი... ექიმებმა ჩვენებური მინერალური წყლების — საირმის, ბაკათისა და ძველებური, საქსპორტო, ჩამოსხმის ბორჯომის მიღება მირჩიეს. აქ ვერ ვშოულობ და, აბა, რა ვქნა.

### გამოფენაზე

მამა და მისი მცირეწლოვანი შვილი ნახატებს ათვალიერებდნენ.

— ამ სურათების ავტორები გამოჩენილი მოდერნისტი მხატვრები არიან, — უთხრა მამამ შვილს.

— ალბათ, ბავშვობაში დახატებ, ხანამ ხატვას ისწავლიდნენ, — დაასკვნა პატარამ.

### თავისინი

— იმ კაცს ეგეთი პატივი რომ ეცო, შენი უფროსია?

— არა, ნათესავია.

— ნათესავს რა პატივისცემა უნდა, შე კაცო, ისედაც შენიანი არაა!

### აკოლონ გასილანია

ზე. ტკივილით აღრქიალებულმა წოწიამ დაბნეულად შეხედა ჯაქვს, ტყვიამფრქვევის სახელურს მისწვდა, ლულა გაასწორა და ააქანა. სახეები და ოქროს ლაქები ბალახში ჩაეცა წოწიას წინ. მის გვერდით მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური გაჩნდა. წოწიამ დაბინდული მზერით წამით დაინახა, სისხლი რომ მარცხენა სახელოდან მოთქრიალებდა. მეთაურს არაფერი უბრძანებია. მთელი სხეულით წამოიმართა, მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და ცივად ისროლა მომავალთაკენ. შემდეგ გაოგნებული წოწიას თვალწინ, მაუზერის ლულა პირში ჩაიღო და გაისროლა. წო-

წია წამით დადუმდა. შემდეგ ისევ აქანდა ტყვიამფრქვევი. მარჯვნიდან უკვე სენ-ძინ-პოსკენ მოიწვედა თოფმომარჯვებული, სირბილით აქოშინებული, ჯაქვის წინ დაწინაურებული რვალისფერსახიანი იუნკერი.

— დაავდე ტყვიამფრქვევი... კიტაიოზა! — ხაოდა იგი და ქაფი ებუშტებოდა ტუჩებზე, — დაგვენბდი...

— დაგვენბდი!!! — ყმუოდნენ მარცხნიდან და მარჯვნიდან და ოქროს ლაქები და წამახული ხიშტები დახტუნავდნენ ფერდობზე. —ა-რა პა-პა-პა! — უკანასკნელად დაიმღერა ტყვიამფრქვევემა და წამისად დადუმ-


და. წოწია წამოდგა, ძლივს-ძლივობით ჩაიხშო მკერდის ტკივილი და ის ავისმომასწავლებელი შემფოთება, ანაზღად რომ მოუწურა გული. უკანასკნელ წამს ამ მცხუნვარე მზის ქვეშ გასაოცარი სიციხლით გაუკრთა თვალწინ დამსკდარი მიწა, დაზოლილი ჩრდილი და ოქროსფერი გაოლიანის კედელი. შინ, შინ უნდა გაემგზავროს. კვლავ ჩაიქრო ტკივილი, ირიბთვალემა სახეზე შარავანდედდაფენილი გვირგვინი გამოიხატა და უკვე მიმხვდარმა, რომ იმედი გაქრა, მიინც თქვა, ცისკენ პირაბყრობილმა: — პრემიალი... წითელი ვირ-

ტულონი... გადაიხადე! გადაიხადე!

უზარმაზარმა, წითელ-სპილენძისფერმა იუნკერმა მძიმედ მოიქნია ხიშტი და ისე ჩასცა ყელში, ხერხემლის ძვალი გადაუმტვრია. ოქროსისრებიანმა შავმა საათმა მაინც მოასწრო მქუხარე სპილენძის ზარებით ჩამოერეკა მელოდია და წოწიას თვალწინ ბროლის დარბაზი აბზინდა. მასში ტკივილი ვეღარ აღწევდა. და ტკივილდამცხრალი, დამშვიდებული წოწია, სახეზე ღიმილშეყინული ვეღარც კი გრძნობდა, ხიშტებით როგორ ჭიჭვიდნენ იუნკრები.

### თარგმან მზია ვალაშვილმა





**თარგუმად:** 5. ქადრაკის ფიგურა; 6. ქართველი ფეხბურთელი; 9. მისწრაფება, მიდრეკილება რაიმესადმი; 10. ცხენოსნის წყაღა; 12. პირველი მარქსისტულ-ლენინური არაღვალური გაზეთი; 14. აფრიკის სახელმწიფო; 16. უკრაინელი მწერალი; 17. სითხის საზომი ერთეული; 18. დროის მონაკვეთი; 19. ესპანეთის ქალაქი; 23. პარკოსანი მცენარე; 24. იმერბაიკალის რუსული სახელწოდება; 25. ქვეთიარის სამარხი; 28. ტროიკული ხე; 30. ლიბრი; 31. სიტყვის გამოთქმის ან გრამატიკული ფორმის მნიშვნელობა; 32. მღ. ენისეის შენაკადი; 33. სხვადასხვა თანამდებობის პირის სახელწოდება ძველ რომში.

**შვეულად:** 1. იტალიის საავტომობილო მონოპოლია; 2. პურეული მცენარე; 3. წარუმატებლობა; 4. უნგრელი ფეხბურთელი; 5. ლექციის წამოიხველი; 7. თურქეთის მდინარე; 8. სარგების ღობე; 11. შეხედულებათა სისტემა; 13. კვერნისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 14. ამა თუ იმ დარგში მიღებული წერილობითი პირობითი ნიშნების სისტემა; 15. ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემადგენელი ფრჩხილი; 20. სახლს მიშენებული აივანი; 21. ლითონის მავთულის ელექტრული ენერგიის გადასაცემი და გასანაწილებელი; 22. მიკროფონთან რადიო და ტელეგადაცემათა ტექსტის მკითხველი; 26. იაპონური ეროვნული ტანსაცმელი; 27. სამხედრო წოდება; 29. ქალაქი და პორტი იაპონიაში; 30. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე.

### შეადგინა ციალა აბაშუქაძე

### „დროშა“ № 1-ში გამომკვეთებული კროსვორდის პასუხები

**თარგუმად:** 4. გონდოლა; 5. აზია; 6. აპი; 8. მუჰავარიანი; 9. ვარძია; 11. ფარეზი; 13. არმანდი; 15. არბიტრი; 17. არაბესკი; 18. აფრიკატო; 20. დისკვალიფიკაცია; 22. სტაუი; 25. ფარდული; 27. დესპანი; 29. ლიონი; 30. „ტორპედო“; 31. ლეუშერი; 32. სვეტი; 33. ზაირი; 34. აფიშა.  
**შვეულად:** 1. მოდა; 2. გოზინაჟი; 3. გლიპტიკა; 5. აკაურთა; 7. იუნკერი; 9. ვარიაცია; 10. ალიზი; 11. ფრაზა; 12. იორდანი; 14. ნოსოვი; 16. ბარაკი; 19. პინაკოტეკა; 21. კანოე; 22. სილოსი; 23. იდილია; 24. ქნარი; 26. ურეკი; 28. სეული.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: თეთრი მღუმარება. ფოტო არნ. გეგეჭკორისა

საქართველოში ზამთარი ფრიად განსხვავებულია. დავიწყეთ ბარით. კოლხეთის დაბლობზე ზოგჯერ შუა ზამთარშიც ზაფხულივით თბილა, ჰაერის ტემპერატურა +20-25 გრადუსს აღწევს. ასეთი თბილი ზამთარი მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ აქ იცის. ამ დროს მცენარეთა ვეგეტაცია არ წყდება, იწყება ზამთრის ყვავილობა, თბილი ზამთრის პირობებში დროზე ადრე იღვიძებიან მიმოზა, ვერცხლისფერი აკაცია, ყვავის ჩაი და მისი მონათესავე მცენარე კამელია.

არანაკლებ მშვენიერია მაგნოლია. ეს უძველესი წარმოშობის ხე სწორედ ზამთრიდან მოყოლებული იფარება დიდრონი თეთრი ყვავილებით. შუა ზამთარში შავი ზღვის სანაპიროზე იაპონური კომპის, ამერიკული იუკას, ხმელთაშუაზღვური ზემარწყვასა და ზეთისხილის ყვავილობის ხანაა. იფურჩქნება ვარდი და ავოკადო.

რატომ ანებივრებს თოვლის პაპა ასე დახვალეთ საქართველოს დაბლობებსა და მთისწინებს? ჩრდილოეთიდან ეს რაიონი დიდი კავკასიონის ქედებითაა დაცული, აცივებას ხელს უშლის ასევე შავი ზღვიდან მონაბერი თბილი ჰაერიც. ამიტომ კოლხეთის დაბლობზე შემოდგომა დეკემბერშიც გრძელდება. აქ ამ დროს შედის სიმწიფეში კოლხური რთველი — მასობრივად იკრიფება ოქროსფერი ციტრუსები. ზამთარში ჰაერის ტემპერატურა ზღვის სანაპიროდან, ვიდრე კოლხეთის შიდა რაიონებისაკენ +9 — 3 გრადუსს შორის მერყეობს. ხეებზე გრძელდება ნაყოფმსხმოიარობა — ტოტები ვერ უძლებენ დახუნძლული ზურმუხის სიმძიმეს, ფოთოლდაცვნილი ხეჭეჭურის ტოტებზე გამოშვებულ წამოსკუბებულა ამ ძვირფასი მსხლის ნაყოფი — წვნიანი და უგემრიელესი, მაღალ ხეებზე გაბარდნილ ჩხავერის მტევნებს თავს ვერ ანებებენ შაშვები. სამწუხაროდ, ვაზის ეს იშვიათი ჭიში დღეს თითქმის გადაშენდა...

როგორია ზამთრის ბუნება ქართლ-კახეთის ველებსა და ნახევარუდაბნოებში? თოვლის თეთრი ზეწარი ველებსაც გადაეფარება ხოლმე, მაგრამ გრძელი და მკაცრი ზამთარი არც აქ იცის. მდინარეები იშვიათად იყინება. ადგილობრივ წყალსაცავებში ბევრია იხვი. სოფლებს მოაშურეს ჩრდილოეთის სტუმრებმა — ქილყავებმა. აქ მათ საქმარისად აქვთ საყვები — მარტამდე თავს იოლად გაიტანენ, შემდეგ კი სამშობლოსაკენ გაფრინდებიან.

განსაკუთრებით ღრმა თოვლი იცის მუჭუნწოვან ტყეში. ადამიანს აქ მხოლოდ თხილამურებით შეუძლია სიარული. მკაცრი ზამთარი მთამაღალში — სუბალპურსა და ალპურ სარტყლებში იცის. ზოგჯერ სკდება ქვასავით მაგარი ყინული. ქვემეხის გრიალივით გაისმის მთის კალთებზე ატყორცნილი ექო. ზაფხითა და ქუხილით ეშვება ზვავი. ასობით მცენარე თუ ცხოველი ეწირება ამ უღმობელ სტიქიას. ასეთ პირობებში აქ, მუდმივი თოვლის ზონის მახლობლად ხარობენ მცენარეები, მათ შორის მერქნაინებიც — ტირიფი, არყი, ღვია. როგორ იტანენ ასეთ სიმაღლეზე მცენარეები ზამთრის მკაცრ ყინვებს? როგორც ცნობილია, მცენარეები მიეკუთვნებიან ისეთ ორგანიზმებს, რომლებსაც არ ახასიათებთ ნივთიერებათა ცვლის მაღალი დონე, არა აქვთ სითბოს შემნარჩუნებელი შექანიზმი. ამიტომ, როგორც წესი, მათი „სხეულის“ ტემპერატურა ეფარდება გარემოს ტემპერატურას. ისმება კანონზომიერი კითხვა: როგორ იტანს მცენარის უკრედის პროტოპლაზმა ასეთ გაცივებას? ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას არქტიკის მცენარეებისათვის. მეცნიერებს ეს საკითხი ჯერ კიდევ არა აქვთ შესწავლილი.

თებერვალში საქართველოს ბარსა და მთისწინებს გაზაფხულის სუნთქვა შეეპარება ხოლმე, მაგრამ მთაში თებერვალი ზამთრის შუაგულია, მძვინვარებს ყინვა და თოვლი, ჭერჭერობით კაცსაც უჭირს და დედაბუნებასაც...

არნოლდ გეგეჭკორი

გადაეცა წარმოებას 17.12.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.01.89. უე 0887. ქალაქის ზომა 70x108 1/3. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიციკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000, შეკვეთა 3166. ფასი 25 კაბ.

380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 2, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტეფლონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66. რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.







